საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 25 აპრილი. 2019 წ. №83 (8749) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ოკუპირებულ მიწა-წყალზე წვრთნების დაწყება მზარდი მილიტარიზაციის დასტურია

„ჩვენთვის შემაშფოთებელია მზარდი მილიტარიზაცია, რომელსაც თვალყურს ვადევნებთ, სამწუხაროდ, როგორც აფხაზეთში, ასევე, ცხინვალის რეგიონში და ეს წვრთნებიც არის ამის ერთ-ერთი გამოხატულება“, — ასე აფასებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსი და აფხაზი სამხედროების მონაწილეობით, წვრთნების დაწყებას.

ირაკლი კობახიძის განცხადებით, ამ კუთხით, მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომა.

„გაგრძელდება კონსულტაციები იმისთვის, რომ მაქსიმალურად ავირიდოთ პრობლემები, რაც დაკავშირებულია მილიტარიზაციასთან“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ქალაქების მძიმე მდგომარეობა აფხაზეთში

მხარის მთავარი პრობლემები - სუსტი სახელმწიფო, ცუდი ინფრასტრუქტურა და იზოლაციონიზმი 6

დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე 7



ოფიციალური მეცხრე



მელორ სტურუას ქართული გული 5

როგორ მოატყუეს გორბაჩოვი ამერიკელებმა?

ზოგი რამ ნატოს ისტორიიდან 8

თბილისის მერი ახალ საბაგირო გზებზე, კულტურისა და დასვენების პარკებსა და ტაქსის მფლობელთა პრობლემებზე 3

ტურისტები ეძებენ სტალინის ძეგლს! 11

ვილაცამ გახარია და მისი უწყება დააყენა დარტყმის ქვეშ - ეს ფაქტია 4

მდინარე - სინათლე - ადამიანი!

26 აპრილი მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების დღეა

ყოველი წლის 26 აპრილი აღინიშნება მსოფლიო ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღედ, რომლის მთავარი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ინტელექტუალური საკუთრების საკითხებში. ამ დღეს ყველას ეძლევა საშუალება, გააცნობიეროს, თუ რა წვლილი შეაქვს ინტელექტუალურ საკუთრებას მუსიკის, ხელოვნებისა და ტექნოლოგიური ინოვაციების განვითარებაში, რაც თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებას უწყობს ხელს.

საქართველოს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოება და საქართველოს კულტურის ფონდი ულოცავს საქართველოს ყველა მოქალაქეს ინტელექტუალური საკუთრების საერთაშორისო დღეს და შემოქმედებით საქმიანობაში წარმატებებს უსურვებს!

განათლებითა და კულტურით წარმოგვიდგენია ყველაზე მჭიდრო ინტეგრაცია ჩვენს საერთო ოჯახთან, ევროპასთან

სწორედ **განათლებითა და კულტურით წარმოგვიდგენია ყველაზე მჭიდრო ინტეგრაცია ჩვენს საერთო ოჯახთან, ევროპასთან — ეს განცხადება საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გააკეთა.**

მამუკა ბახტაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ევროპის აკადემიის თბილისის რეგიონული ცენტრის გახსნის ღონისძიებაზე იმყოფებოდა.

„ჩვენ ვამაყობთ ჩვენი ისტორიით, ჩვენი დიდი წარსულით, რომელიც დგას სწორედ განათლებასა და კულტურაზე. გვაქვს ეროვნული იდეა, რომელიც არის განათლება. განათლება, რომელიც არის უმოკლესი გზა თავისუფლებისკენ და უმოკლესი გზა იმისკენ, რომ დავძლიოთ საქართველოს წინაშე არსებული ყველა გამოწვევა. ამ ეროვნული იდეის მიხედვით, ავიღეთ ვალდებულება, რომ საქართველო შემდეგი ათწლეულების განმავლობაში მოახდენს თავისი მთლიანი შიდა პროდუქტის 6 პროცენტის ინვესტირებას სწორედ განათლებაში, რომელიც ფაქტობრივად, ბიუჯეტის მეოთხედია. ეს არის ჩვენი გზავნილი ჩვენი მეგობრებისთვის, ჩვენი განწყობა, სულისკვეთება“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი თქმით, განათლების სისტემის ხუთდონიან რეფორმაში მეცნიერებას განსაკუთრებული როლი აქვს. **„ვფიქრობთ, პოტენციალი, რომელიც არის საქართველოში, ჩვენს მეცნიერებში, ღვაწლმოსილ, ასევე ახალგაზრდა მეცნიერებში ფაქტობრივად, ამის 2-3 პროცენტსაც კი ვერ ვიყენებთ. ამასთან ერთად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგია გახლავთ, რომ სწორედ საქართველო უნდა გახდეს რეგიონის ეკონომიკური ცენტრი და ლიდერი. ბუნებრივია, ეს წარმოგვიდგენია მხოლოდ განათლებასთან ერთად და მხოლოდ იმასთან ერთად, რომ საქართველომ დაიბრუნოს განათლების კერის სტატუსი რეგიონში. აქედან გამომდინარე, ჩემთვის განსაკუთრებით ემოციურია დღევანდელი დღე, რომ ჩვენ გვერგო პატივი და მეხუთე ჰაბი გაიხსნება სწორედ საქართველოში. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯი ინტეგრაციისკენ, რომ დავუბრუნდეთ ჩვენს ევროპულ ოჯახს“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერის თქმით, ევროპულ ოჯახში დაბრუნება მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ არის.

„ყოველთვის ვამბობდი და დღესაც მსურს, გავიმეორო — არჩევანი, რომ საქართველო აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს თავის ევროპულ ოჯახს, არ გახლავთ მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი. ეს არის ცივილიზაციაზე და ფასეულობაზე დაყრდნობილი არჩევანი და დღევანდელი დღე ამის საუკეთესო მაგალითია. ჩვენ სწორედ განათლებითა და კულტურით წარმოგვიდგენია ყველაზე მჭიდრო ინტეგრაცია ჩვენს საერთო ოჯახთან, ჩვენს ევროპასთან“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

მისი შეფასებით, ცენტრის გახსნა ხელს შეუწყობს ქართველი და ევროპელი მეცნიერების თანამშრომლობის გაღრმავებას. **„კიდევ ერთხელ მსურს, მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ამ მნიშვნელოვან პროგრესში. დარწმუნებული ვარ, ცენტრის გახსნა მაქსიმალურად დაგვეხმარება, რომ კიდევ უფრო მჭიდრო კონტაქტები დავამყაროთ, კიდევ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ ჩვენი თანამშრომლობის ხარისხი ქართველ და ევროპელ მეცნიერებს შორის. დარწმუნებული ვარ, ამავე დროს, დღევანდელი დღე იქნება დასაბამი ძალიან მნიშვნელოვანი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა“,** — აღნიშნა მამუკა ბახტაძემ.

გიორგი გახარია სიმონ მორდიუს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი გახარია ევროკომისიის საშინაო საქმეთა და მოქალაქეობის საკითხებში გენერალური დირექტორის მოადგილეს სიმონ მორდიუს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოს მოქალაქეების ევროკავშირში უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული მიმდინარე საკითხები განიხილეს. მხარეებმა ხაზი გაუსვეს სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პოლიტიკურ და პრაქტიკულ მნიშვნელობას ქვეყნის ევროინტეგრაციის პროცესში.

მინისტრმა ევროკომისიის წარმომადგენელს უვიზო მიმოსვლის პროცესში წარმოქმნილი გამოწვევების საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გატარებული ღონისძიებები გააცნო. გენერალური დირექტორის მოადგილემ დადებითად შეაფასა Frontex-cf lf Europol-თან არსებული თანამშრომლობა, პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ რეადმისიის შესახებ შეთანხმების წარმატებული განხორციელება.

უვიზო მიმოსვლის ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხარეები ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის აუცილებლობაზე შეთანხმდნენ. უსაფრთხოების არსებული გამოწვევებისა და არალეგალური მიგრაციის შემცირების მიზნით, სიმონ მორდიუმ შინაგან საქმეთა მინისტრს ევროკავშირის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმა გააცნო. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის მზაობას საქართველოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და უსაფრთხოების სფეროში ერთობლივი ძალისხმევის გაძლიერებისთვის. შინაგან საქმეთა მინისტრმა სტუმარს მადლობა გადაუხადა საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების აქტიური მხარდაჭერისთვის.

კანონპროექტი იძლევა კეთილსინდისიერი მოსამართლეების შერჩევის გარანტიას

„შეგვიძლია, თამამად ვთქვათ, რომ ეს კანონპროექტი იძლევა მაღალკვალიფიციური, კეთილსინდისიერი მოსამართლეების შერჩევის არა მარტო საშუალებას, არამედ გარანტიასაც და ამის ნათელი მაგალითი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, რომელსაც მიიღებს პარლამენტი, როდესაც დაამტკიცებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ განუცხადა. ირაკლი კობახიძე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით გაკეთებულ განცხადებასაც გამოეხმაურა.

„ჩვენ გავწერეთ კანონპროექტი, რომელიც ეფუძნება საერთო ინტერესს — საერთო ინტერესი არის მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი ადამიანების შერჩევა უზენაესი სასამართლოსთვის და ეს კანონპროექტი ადგენს უპრეცედენტოდ ღია და გამჭვირვალე პროცედურას, რომელსაც არა აქვს ანალოგი არცერთ ევროკავშირის ქვეყანაშიც კი. შეუძლია, ნებისმიერს, გადაამოწმოს ევროკავშირის კონკრეტული ქვეყნების კანონმდებლობა, პრაქტიკა და გამოცდილება. არსად ამის მეათედიც კი არ არის გაწერილი. აქედან გამომდინარე, პროცესის შეჩერების არავითარი საფუძველი არ არსებობს, პირიქით, ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი მოტივაცია იმისა, რომ საბოლოოდ მივიღოთ ეს კანონი, იმისთვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაიწყოს პროცესი, რომლის საბოლოო შედეგი იქნება მაღალკვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოსამართლეები უზენაეს სასამართლოში“, — განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძე გამოეხმაურა ოპონენტების მოთხოვნასაც, რომ კანონპროექტი მეორე მოსმენაზე უნდა დაბრუნდეს.

„ამის საფუძველი არ არსებობს, იმიტომ, რომ კანონპროექტი არის მაქსიმალურად დახვეწილი და ასახავს იმ ინტერესს, რასაც ჰქვია მაღალკვალიფიციური და პროფესიონალი კადრებით უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების ინტერესი. არის მაქსიმალურად დახვეწილი, თუ ერთი ოპონენტი მაინც მოიტანს ევროკავშირის რომელიმე ქვეყნის მაგალითს, სადაც ამის მეათედი მაინც არის გაწერილი, მაშინ ჩვენ შეიძლება დავაბრუნოთ მეორე მოსმენაზე ეს კანონპროექტი. ევროკავშირის ვერცერთი ქვეყნის ვერცერთ მაგალითს ვერ მოგვიყვანთ, სადაც ამის მეათედიც კი არის გაწერილი. ეს არის ყველაფრის ნათელი დასტური“, — განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ.

სპეკულირებაა, რომ ჰესები გარემოზე მავნე ზეგავლენას ახდენს და მდინარეებს აშრობს

„სპეკულირებაა, რომ ჰესები გარემოზე მავნე ზეგავლენას ახდენს და მდინარეებს აშრობს. ესსიმართლეს არ შეესაბამება და მოსახლეობის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანაა, — აცხადებს ენერგეტიკოსი **არჩილ მამათელაშვილი.**

ენერგეტიკოსი იმ სამ ძირითად მიზეზს ასახელებს, რის გამოც მისი აზრით, ჰიდროენერგეტიკა მნიშნელოვანია ქვეყნისთვის. მისი თქმით, ეს არის ენერგოდამოუკიდებლობა, სუფთა ენერგია და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური ფასები. არჩილ მამათელაშვილის თქმით, საქართველოს არ გააჩნია ისეთი ბუნებრივი რესურსები, როგორიცაა ნავთობი და ბუნებრივი აირი, რაც ქვეყანას ენერგოდამოკიდებულს ხდის რეგიონის სხვა ქვეყნებზე. „რეგიონში არსებული საკმაოდ დაძაბული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის აუცილებელია ჰქონდეს ენერგეტიკული დამოუკიდებლობის ერთი კომპონენტი მაინც, რათა პოლიტიკურად მოტივირებულმა გადაწყვეტილებებმა მისი ეკონომიკის სრული კოლაფსი არგამოიწვიოს“, — აღნიშნავს ენერგეტიკოსი.

მისივე თქმით, ჰიდროელექტროსადგურებზე გამომუშავებული ელექტროენერგია ეკოლოგიურად უფრო სუფთაა, ვიდრე ეკონომიკურად მიზანშეწონილი სხვა ალტერნატივები: ნახშირზე, მაზუთზე ან გაზზე მომუშავე თბოელექტროსადგურები. ენერგეტიკოსი მიიჩნევს, რომ ჰიდროელექტროსადგურების განვითარება გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური ფასების გარანტია.

„ჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულება არა მარტო იაფია სხვა არსებულალტერნატივაზე, არამედ მისი ფასის ცვლილებაც საკმაოდ დაბალია და არ არის დამოკიდებული მსოფლიო ბაზრებზე არსებულ ნედლეულის ფასებზე. ნებისმიერი სხვა ალტერნატივა: თეს-ები, იმპორტი, ახლად აშენებული ჰეს-ების მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე მინიმუმ 30%-ით ძვირია. ჰესებში ინვესტიციების შეფერხების შემთხვევაში, ჩვენ მოგვიწევს ან თბოსადგურის აშენებადა დამატებითი ბუნებრივი აირის შეძენა სხვა ქვეყნებიდან, რამაც შესაძლოა, ფასების რყევა გაზარდოს, ან იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში ელექტროსადგურების მშენებლობა და მათი ეკონომიკის ზრდა უნდა დავაფინანსოთ და უარი ვთქვათ საკუთარ ეკონომიკურ ზრდაზე“, — აცხადებს არჩილ მამათელაშვილი.

მისივე თქმით, როდესაც სპეკულირება ხდება, რომ ჰესები მავნეა გარემოზე და აშრობს მდინარეებს, ეს სიმართლეს არ შეესაბამება და მოსახლეობის მიზანმიმართულად შეცდომაში შეყვანაა.

თბილისის მერი ახალ საბაგირო გზებზე, კულტურისა და დასვენების პარკებსა და ტაქსის მფლობელთა პრობლემებზე

თბილისის მერია დედაქალაქში სამი მიმართულებით, ახალი საბაგირო გზების ამოქმედების შესაძლებლობას განიხილავს. ამის შესახებ კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ განიხილება საბაგირო ტრანსპორტის „სამგორი-ვაზისუბანი“, „ახმეტელი-თემქა“ და „სამება-მახათას მთის“ მიმართულებით განვითარება.

თბილისის მერის თქმით, ახალი საბაგირო გზების განვითარების მიმართულებით, ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მომზადებას, დაახლოებით, 750 000 ლარი და ხუთი თვე სჭირდება.

მისივე თქმით, ტრანსპორტის აღნიშნული სახეობით, ძალიან ბევრი მოქალაქე სარგებლობს.

„პრიორიტეტების მიხედვით დალაგდება, რომელია ყველაზე საინტერესო მიმართულება ჩამოთვლილ მიმართულებებს შორის და უკვე ხუთი თვის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას, თუ რომელი იქნება ის პირველი პროექტი, რომელსაც დედაქალაქში განვახორციელებთ. საბაგირო გზები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ადამიანი გადაადგილდება“, — განაცხადა თბილისის მერმა.

* * *

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური სახელმწიფო პროფესიულ კოლეჯებთან ერთად, პროფესიული გადამზადების მასშტაბურ პროგრამას — „ისწავლე და დასაქმდი“ იწყებს.

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, აღნიშნული პროექტი გასულ წელსაც განხორციელდა.

„ქვეყანაში და თბილისშიც ყველაზე დიდ პრობლემას დასაქმება წარმოადგენს. შესაბამისად, პროექტი, რომელსაც „ისწავლე და დასაქმდი“ ჰქვია, გასულ წელს განვახორციელეთ და ძალიან დიდი წარმატება მოჰყვა — ეს არის ახალგაზრდების ხელშეწყობა პროფესიული გადამზადების თვალსაზრისით. გვაქვს სრული ინფორმაცია, თუ რაზეა მოთხოვნა ბიზნესის მხრიდან და სად არიან საჭირო პროფესიონალი, გადამზადებული და კვალიფიციური ადამიანები. აღნიშნულ პროექტს წელსაც ვიწყებთ იმისთვის, რომ ახალგაზრდებს მივცეთ შესაძლებლობა, გადამზადების შემდეგ, ბიზნესში, კერძო ან საჯარო სექტორში დასაქმდნენ. ხელშეწყობა ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში მონაწილე ადამიანები უფრო პროფესიონალები გახდნენ და კვალიფიკაცია აიმაღლონ. სასწავლო კურსი სამი თვე გაგრძელდება“, — განაცხადა თბილისის მერმა. მისივე თქმით, პროგრამაში ჩართვის მსურველთა რეგისტრაცია 24 აპრილიდან 7 მაისის ჩათვლით გაგრძელდება.

დედაქალაქის მერის მოადგილის სოფიო ხუნწარიას ინფორმაციით, პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში, ერთი წლის განმავლობაში, 1 000-მდე ადამიანი გადამზადდა, მათგან 80% კი დასაქმდა.

* * *

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური ვეტერანთა კულტურისა და დასვენების (კიკვიძის) პარკის რეაბილიტაციას აწარმოებს. მიმდინარე სამუშაოებს თბილისის მერი კახა კალაძე გაეცნო.

პარკის ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც 71 313 კვადრატული მეტრია, საბავშვო და სავარჯიშო მოედნები, ე.წ. მშრალი ტიპის შადრევანი, სამაგიდო თამაშებისა და შინაური ცხოველების სასეირნო არეალები, ღია საგამოფენო სივრცე და ამფითეატრი განთავსდება. ასევე, მოეწყობა სარბენი და ველობილიკები.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, აღნიშნული პარკი მოქალაქეების საყვარელი დასასვენებელი ადგილი გახდება.

სამუშაოების ფარგლებში, არსებული დიზაინით შენარჩუნდება და სრულად რეაბილიტირდება პარკის შესასვლელი კოლონები და ცენტრალური ბილიკი. პარკის ტერიტორიაზე განხორციელდება გამწვანების სამუშაოები, მოეწყობა სარწყავი სისტემა და სხვადასხვა სახეობის 850-მდე მცენარე დაირგვება. ასევე, განახლდება ცოცხალი ღობეები და მოეწყობა გარე განათების სისტემა.

პროექტის ღირებულება 4 722 237 ლარს შეადგენს. სამუშაოების დასრულება მიმდინარე წლის ნოემბერში იგეგმება.

* * *

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, სიმართლეს არ შეესაბამება ის ინფორმაცია, თითქოს, თბილისის მერის მოადგილეებს და ვიცე-მერს ხელფასები გაეზარდათ. ამის შესახებ მან დედაქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

„ბოლო დღეების განმავლობაში, სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებით ვრცელდებოდა არასწორი ინფორმაცია, რომ თითქოს, 2018 წელს დედაქალაქის მერის მოადგილეებმა და ასევე, ვიცე-მერმა, ხელფასები მოიმატეს. დაახლოებით, საუბარი იყო 113 და 119%-ით მატებაზე. სრული პასუხისმგებლობით მინდა, განვაცხადო, რომ ეს ძალიან დიდი ტყუილია. განმარტებას არა პოლიტიკოსებისთვის, არამედ თბილისის მოსახლეობისთვის ვაკეთებ, რომ მათ სრული ინფორმაცია ჰქონდეთ. მიუხედავად იმისა, რომ მე ადრეც მაქვს ამ საკითხზე განმარტებები გაკეთებული, კიდევ ერთხელ განვმარტავ. რეალურად მოგიყვებით იმ სამართლებრივ გარემოებებზე, რომლის საფუძველზეც ამ ტყუილს ქმნიან. საჯარო სამსახურის რეფორმა 2017 წელს განხორციელდა და ძალაში 2018 წლის პირველი იანვრიდან შევიდა, რომლითაც ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა. მანამდე ადამიანებს ჰქონდათ ხელფასი, რაც თანამდებობრივი სარგოა. ასევე, იღებდნენ დანამატს და პრემიებს. ეს მავნე პრაქტიკა წლების განმავლობაში იყო და ძალაში შესულმა კანონმა დაარეგულირა. ამის შემდეგ თანამდებობრივი სარგო და დანამატი გაერთიანდა და თანამდებობრივი სარგო, ანუ ხელფასი დაერქვა. პარალელურად, თანამდებობის პირებისთვის პრემიების გაცემა აიკრძალა. ჩემი ვერც ერთი მოადგილე დღეს პრემიას და დანამატს ვერ იღებს“, — აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

მისივე თქმით, მსგავსი ინფორმაციების გავრცელება მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა.

„როდესაც ასეთ განცხადებებს ვისმენ და მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მცდელობებს ვხედავ, ვალდებული ვარ, განმარტებები და შედარებები გავაკეთო. წარსულზე ლაპარაკი არ მიყვარს, მაგრამ მოსახლეობამ ინფორმაცია უნდა მიიღოს. ჩვენ გვაქვს კიდეც ცხრილი, 2013 წელს რამდენი იყო მერის მოადგილეების ხელფასები და დღეს რამდენია“, — განაცხადა თბილისის მერმა.

* * *

ტაქსების 1 500-მდე მფლობელს ფერის შეცვლისა და ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერების მიღების ვადა გაუხანგრძლივდება, განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, კომუნიკაციის ფარგლებში, გამოიკვეთა, რომ არსებობს ტაქსის მფლობელთა გარკვეული ჯგუფი, რომლებმაც ორი კვირის ვადაში სხვადასხვა მიზეზის გამო, შესაბამის კომპანიას ვაუჩერის მისაღებად არ მიმართეს. **„საუბარია დაახლოებით, ნებართვის მფლობელ 1 500-მდე ტაქსზე, რომლებსაც გავლილი აქვთ ტექნიკური ინსპექტირება, ეკუთვნოდათ ვაუჩერები, თუმცა იმის გამო, რომ ორკვირიან ვადაში შესაბამის კომპანიას ვერ მიმართეს, ვაუჩერის გარეშე დარჩნენ. გვქონდა შეხვედრა საინიციატივო ჯგუფთან და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მათ ვაუჩერის მიღების ვადა გავუხანგრძლივოთ. ამ მოქალაქეებს ექნებათ შესაძლებლობა, პირველი მაისიდან 15 მაისის ჩათვლით, შესაბამის კომპანიას taxi.tbilisi.gov.ge-ზე მითითებულ ნებისმიერ მისამართზე მიმართონ და როგორც ფერის შეცვლის, ასევე, ინტერიერის ქიმიური წმენდის ვაუჩერი მიიღონ“,** — აღნიშნა თბილისის მერმა. მისივე თქმით, ტაქსის 1 500-მდე მძღოლს აღნიშნული პრობლემა მოუგვარდება.

* * *

ვაჟა-ფშაველას გამზირის №83-ის მიმდებარედ, გზის სავალ ნაწილზე არსებულ მეტროს 50-ე შახტს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდება. მისი თქმით, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, გზის სავალ ნაწილზე მეტროს 50-ე შახტია, რომელიც მეტროს გამნიავებლის ფუნქციას ასრულებს. შახტის ადგილმდებარეობის გამო, ამ ეტაპზე, გზის სავალი ნაწილი ჩაკეტილია, რაც ტრანსპორტის მოძრაობას აფერხებს.

„ჩემი თხოვნაა, საკითხი რაც შეიძლება სწრაფად მოგვარდეს. ამ პროექტის განსახორციელებლად, რომლის ღირებულება დაახლოებით, მილიონ ლარზე მეტია, თანხა გამოყოფილია. ისე გავაკეთოთ, რომ სატრანსპორტო მოძრაობას ხელი არ შეეშალოს და ფეხით მოსიარულეებისთვის გადაადგილება პრობლემა არ იყოს. ტენდერში გამარჯვებული კომპანია უკვე გამოვლენილია და სამუშაოები უახლოეს დღეებში დაიწყება“, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერი საბურთალოს მოსახლეობას და ყველას, ვინც აღნიშნული გზით სარგებლობს, პრობლემის მოგვარებას დაპირდა. მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემის მოგვარებას მას მოსახლეობა სოციალური ქსელების მეშვეობითაც სთხოვდა.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეუფერხებლად გადაადგილებისთვის მოცემული შახტის დაღრმავება და გადახურვაა საჭირო, რათა მან ფუნქცია არ დაკარგოს. სამუშაოები ასევე, მოცემულ ობიექტზე არსებული უფუნქციო შენობა-ნაგებობებისა და ლითონის ღობის დემონტაჟს გულისხმობს. პარალელურად, რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ საგზაო საფარს, მოეწყობა ტროტუარები ახალი ბორდიურით, ლითონის მოაჯირები, ლითონის ცხაურები ხეებისთვის და სანიაღვრე სისტემა.

სარეაბილიტაციო სამუშაოების ღირებულება 1 084 675,99 ლარს შეადგენს. სამუშაოებს თბილისის მერიის კონტრაქტორი კომპანია შპს „ჰიდროტექნოლოგიური ჯგუფი“ შეასრულებს.

თბილისის მერიასა და GIZ-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა

მემორანდუმს ხელი თბილისის მერის მოადგილე მაია ბითაძემ და GIZ-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა კარლ ტესტენსენმა მოაწერეს.

მემორანდუმი რამდენიმე მიმართულებით თანამშრომლობას ისახავს მიზნად. კერძოდ, კუს ტბისა და მთაწმინდის დამაკავშირებელ არსებულ ტურისტულ მარშრუტზე დამატებით, შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყობა, რაც საპიკნიკე და დასასვენებელი ადგილების, ეკოსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის, საინფორმაციო-საინტერპრეტაციო დაფების, სპეციალური საკემპინგე ადგილისა და გადასახედი პლატფორმის მოწყობას გულისხმობს.

„GIZ-თან გაფორმებული მემორანდუმის თანახმად, რამდენიმე თვეში, ახალ სიცოცხლეს შეიძენს ის საფეხმავლო ბილიკი, რომელიც კუს ტბას მთაწმინდასთან აკავშირებს. ამ ტერიტორიაზე დამატებით მოეწყობა საგანმანათლებლო ბილიკები და ასევე, ტყის ბუნებრივი აღდგენის ღონისძიებები გატარდება, რაც 20 ჰექტრამდე სატყეო ფართობს ახალ სიცოცხლეს შესძენს. ამით, როგორც ტურისტებს, ასევე, ადგილობრივ მოსახლეობას მიეცემა უნიკალური საშუალება, იმ საფეხმავლო ბილიკებიდან გადაშლილი პანორამით დატკბნენ, რომელიც კუს ტბასა და მთაწმინდას ერთმანეთთან აკავშირებს“, — აღნიშნა მაია ბითაძემ.

კარლ ტესტენსენის განცხადებით, მემორანდუმით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება თბილისის ტურისტული პოტენციალის უფრო მეტად ათვისებას შეუწყობს ხელს.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ასევე, ტყის ბუნებრივი განახლების მიზნით, შესაბამისი ღონისძიებების ჩატარებას ისახავს მიზნად, რაც მწვანე ნარგავების მართვის გეგმით რეკომენდებული ფართობების შემოღობვას, ნიადაგის დამუშავებას, ზეხმელი ხეების ჭრასა და ტერიტორიის გაწმენდას მოიცავს. ზემოაღნიშნული სამუშაოები 20-25 ჰექტარ ტერიტორიაზე ჩატარდება. გარდა ამისა, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების ქართველი და უცხოელი ექსპერტები მერიის თანამშრომლებს ტყის აღდგენა-განახლებასა და მართვასთან დაკავშირებით საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებენ.

„პროცესი მართულია და მართვის პროცესში ჩართულები არიან, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე რაღაც ჯგუფი არასამთავრობო სექტორიდან და ასევე ადგილობრივებისა“, – აცხადებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე, რომლის განცხადებით, არიან ადამიანები, რომლებიც ხელოვნურად ძაბავენ ქვეყანაში სიტუაციას. მისი თქმით, პანკისის ხეობა არის ძალიან სენსიტიური რეგიონი, სადაც მუდმივად იყო სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურების ინტერესის საგანი. აქედან გამომდინარე, არეშიძე ამბობს, რომ პანკისს სჭირდება სენსიტიური მიდგომა.

ვიღაცამ გახარია და მისი უწყება დააყენა დარტყმის ქვეშ – ეს ფაქტია

– ძალიან მძიმედ განვითარდა პროცესები პანკისის ხეობაში. რამდენად შესაძლებელია, რომ პროცესი იყოს მართული, რა ჯგუფები მოქმედებენ და, თუ თვლით, რომ პროცესი მართულია, რა ჯგუფის ინტერესებში შედიოდა პროცესების ასე განვითარება?

მამუკა არეშიძე: რასაც ახლა ვიტყვი, ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ მაქვს, მაგრამ ეჭვის უფლება მაქვს, რადგან ვიცი, როგორი სიტუაცია არის საქართველოში. აქედან გამომდინარე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, ვთქვა, რომ ეს პროცესი მართულია და მართვის პროცესში ჩართულები არიან, როგორც ხელისუფლებიდან, ასევე რაღაცა ჯგუფი არასამთავრობო სექტორიდან და ასევე ადგილობრივებისა. რასაკვირველია, ვინც პროტესტს გამოხატავდა, უმრავლესობა ნამდვილად გამოხატავდა საგნობრივ პროტესტს, მართლა არ უნდათ მათ ჰესის აშენება და თვლიან, რომ ამის გამო მოსახლეობას მიადგება სერიოზული ზარალი. მაგრამ იქ იყო რამდენიმე ადამიანი და მე ისინი კადრებშიც ვნახე, რომლებსაც უბრალოდ ვიცი, რომ ჰესები საერთოდ არ აინტერესებთ, არც ქვეყნის უსაფრთხობა, ამ ადამიანებისთვის მთავარი არის ფინანსური წყარო. ამ ფინანსური წყაროს მომცემი რა დავალებას მისცემს, იმის მიხედვით მოქმედებენ.

– რომელი არასამთავრობო ორგანიზაციის ინტერესი იკვეთება ამ პროცესის უკან?

– ვიცი, რომ თბილისში არის რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც ორიენტირებულია იმაზე, რომ საქართველოში არ განვითარდეს ელექტროსისტემა. არ გამოვრიცხავ, რომ ფულსაც იღებენ იმაში, რომ ხელი შეუშალონ ელექტროსისტემის აშენებას. ზოგიერთი ჩვენი მეზობელი დაინტერესებულია იმაში, რომ საქართველოს ელექტროსისტემა არ განვითარდეს. რატომ უნდა განვითარდეს, ასე ხომ ქვეყანა განვითარდება, რაც მათ არ აწყობთ, რადგან მათ შეუძლიათ, მოგვყიდონ. უმჯობესი არ არის ელექტროენერგია გაყიდონ, ვიდრე საქართველოში განვითარდეს ელექტროსისტემა და მერე ვეღარ გაყიდონ?!

რაც შეეხება სამთავრობო სტრუქტურებს, რასაც ჩემი თვალით ვუყურებ, გამოდის, რომ გახარია და მისი უწყება ვითარების მსხვერპლია. შსს-ს არ აქვს იმის ფორმატი, რომ სიტუაციის შესწავლა მოახდინოს თავიდან ბოლომდე, ა-დან, ბე-მდე. რასაკვირველია, ინფორმაცია უნდა ჰქონდეს, მაგრამ ის, რომ საერთო სურათი შექმნას, ამის საშუალება არა აქვს.

– შიდა დაპირისპირების პროცესში შეიძლება განვიხილოთ გახარიას უარყოფით ფორმატში წარმოჩენა?ხელისუფლებაში ჯერჯერობით ერთადერთი მინისტრია, რომელმაც საზოგადოებაში გააჩინა აზრი, რომ შსს-ს მართლა ჰყავს მინისტრი...

– სწორედ ამას ვამბობ, რომ ვიღაცამ გახარია და მისი უწყება დააყენა დარტყმის ქვეშ და ეს ფაქტია. მთელი ეს სიტუაცია ვიღაც-ვიღაცების სათავისოდ გამოყენებაზე არის აგებული. სწორედ ეს არის კვირას განვითარებული მოვლენების პრობლემა, მაგრამ მთავარი პრობლემა არის ის, რომ საქართველოს ვერც ერთმა ხელისუფლებამ ვერაფრით ისწავლა წინამორბედების შეცდომებზე. პანკისის ხეობა არის სპეციფიკური ზონა და ამ სპეციფიკურ ზონას სჭირდება სპეციფიკური მიდგომა.

მარტო ადგილობრივ მაცხოვრებლებზე არ არის ლაპარაკი, ლაპარაკია იმაზე, რასაც წლების განმავლობაში ვხედავთ – როგორ ცდილობს მავანი, რუსეთი იქნება თუ სხვა, პანკისის ხეობაში სიტუაცია აკონტროლოს ისე, როგორც მას აწყობს. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში შენ არ უნდა შექმნა ისეთი ვითარება, რომ წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდე. დღეს ხელისუფლება და ქვეყანა აღმოჩნდა წამგებიან მდგომარეობაში. დღეს ძალა იმ ადამიანებმა იგრძნეს, ვინც ეს ვითარება აქამდე მიიყვანა. არ შეიძლება ამ ადამიანებს შერჩეთ იმის შეგრძნება, რომ მათ შეუძლიათ სახელმწიფოს უკან დაახევინონ.

– არასამთავრობო სექტორის ჩართულობაზე ისაუბრეთ, მათ შორის ხელისუფლების შიგნით არსებულ რამდენიმე ინტერესთა ჯგუფზე, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს აქვს კი იმის რესურსი, რომ გამოავლინოს ეს ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც ამ პროცესის უკან დგანან და რომლებიც რეალურად სახელმწიფოს წინააღმდეგ მოქმედებდნენ?

– ძალიან მარტივი პასუხი შემიძლია გაგცეთ. სადაც მე, ჩვეულებრივ მოქალაქეს მაქვს ეჭვი და ეს ეჭვი დაფუძნებულია კონკრეტულ ინფორმაციებზე, თქვენ ფიქრობთ, რომ სახელმწიფოს არ ექნება, რომელიც ტექნიკურად ბევრად უკეთესად არის აღჭურვილი და უფრო მეტი ინფორმაცია აქვს? ე.ი. ამ ინფორმაციას ან ყურადღება არ მიექცა, იმიტომ, რომ არაპროფესიონალები მართავენ პროცესს, ან შეგნებულად გადაიდგა რაღაცა ნაბიჯი, რომელმაც ამ სიტუაციამდე მიგვიყვანა.

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რამდენი ხანია, ქვეყანა ,უშიშროების საბჭოს გარეშეა. გადავყევით იმ უშიშროების საბჭოსთან ბრძოლას, რომელიც პრეზიდენტ მარგვლაშვილთან იყო, შემდეგ გავაუქმეთ და რამდენი ხანია, ვერ შევქმენით უსაფრთხოების საბჭო. ეს არის ძალიან ცუდი ქვეყნისთვის. უსაფრთხოების საბჭო არის სწორედ ის სივრცე, სადაც ხდება უწყებათა შორის მოქმედების შეჯერება.

კორიდორში ერთი მინისტრი მეორეს დაიჭერს და ეტყვის, რომ ამას ვაპირებ და შენ დამეხმარეო, ეს არის საქმე? პრემიერ-მინისტრს ჰქონდა ძალიან კარგი გეგმა უსაფრთხოების სამსახურთან დაკავშირებით, ბრიტანულ ფორმატზეა საუბარი, რომელიც თავისთავად გულისხმობს უსაფრთხოების საბჭოს და მის ქვემოთ არსებულ ანალიტიკურ ცენტრებს, რომელიც კონკრეტულ თემებზე მუშაობს. როგორც იქნა პარლამენტმა მიიღო ეს ცვლილება და პრეზიდენტსაც მოუწერია ხელი დოკუმენტზე, მაგრამ ეს პროცესი დროში გაიწელა და ამ დროს პარალელური სტრუქტურა რომ ყოფილიყო, თუნდაც დროებითი, ამას არაფერი არ ედგა წინ.

– რასაც ქვეყნისთვის არაკეთილმოსურნე ინტერესჯგუფები გამოიყენებენ და იყენებენ, ალბათ...

– რა თქმა უნდა, იყენებენ. ავიღოთ თვითონ ის კომპანია, რომელიც ჰესის აშენებას აპირებს და ძალიან მინდა ამას მიაქციოთ ყურადღება, კომპანიამ ხომ იცის, სადაც აკეთებს ამას და ხომ იცის, რა შედეგი მოჰყვება? კომპანიას რომ არ სცოდნოდა, პრობლემები შეექმნებოდა, არ სთხოვდა ხელისუფლებას და კერძოდ შსს-ს დახმარებას. ე.ი. იცოდა, რომ პრობლემები ექნებოდა და თუ იცი, გაანალიზე, რატომ გექნება პრობლემა, გაჯიუტებულია ხალხი, თუ მართლა არსებობს სოციალური ფონი? ამ დროს მართლაც არსებობს მძიმე სოციალური ფონი, მაგრამ სერიოზულად არ მოინდომეს მისი მოგვარება და იფიქრეს, მოდი პოლიციას დავუძახოთ და უცებ გადავწყვეტთ ჰესის აშენებასო. ვერ გადაწყვეტს, იმიტომ, რომ პანკისის ხეობაა და სხვა სიტუაციაა. ვერც სვანეთში ვერ გადაწყვეტს და ვერსად იმიტომ, რომ ყოველთვის აღჭურვილი უნდა იყო მაქსიმალური ცოდნით და მაქსიმალურად უნდა ჰქონდეს გათავისებული ადამიანების პრობლემები. კომპანია ადგილობრივებს ჰპირდება ოქროს მთებს, მაგრამ მას მერე, როცა დაიწყებენ მშენებლობას. როცა იცი, რომ სპეციფიკური რეგიონია და იცი, რას იტყვის მოსახლეობა, მოდი დაიწყე პირიქით. ჯერ გააკეთე ინფრასტრუქტურული პროექტი, მაგალითად – წყალი, რომ დაგიჯეროს ამ ხალხმა. პრობლემა თუ არ მოიხსნება, შემცირდეს მაინც. ახლა უკვე სხვა სიტუაციაა, თუ არ მოგვარდება წყლის საკითხი, იგივე გაგრძელდება მუდმივად.

– როგორ ფიქრობთ, ინტერესთა ჯგუფები შეეცდებიან, სიტუაცია ისე გამოიყენონ, რომ პროცესები ისევ მივიდეს ესკალაციამდე?

– რასაკვირველია. მაგრამ შევთანხმდეთ, რომ საქართველოს სჭირდება ენერგოსისტემის განვითარება, საქართველოს სჭირდება ტექნოლოგიური გარღვევა ამ მიმართულებით, ეს არის აუცილებელი. ასევე, საქართველოს ხელისუფლებას აქვს კანონიერი უფლება, რომ აღასრულოს გადაწყვეტილება და პლუს, დასაჯოს ის ადამიანები, რომლებიც პოლიციელებს ხელით შეეხნენ. მაგრამ ახლა რას მოგვიტანს ამის შესრულება? ხომ არ შეიძლება მოხუცებულ ქალებს დავერიოთ და დავიჭიროთ, გამორიცხულია ეს ამბავი. ამ თვალსაზრისით ცაიტნოტშია ხელისუფლება. ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ ახლა უნდა დაიწყოს ძიების პროცესი და ყველა ის ადამიანი, პანკისელი იქნება თუ თბილისელი, აუცილებლად უნდა იყოს დასჯილი, რომელმაც ეს სიტუაცია შექმნა. ის კი არა, ვინც ქვას ისროდა, არამედ ის, ვინც ეს სიტუაცია შექმნა და დაიწყოს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება.

– როდესაც იმუქრებიან, რომ არავინ დაიჭიროთ, თორემ ისევ გამოვალთ, ვინაიდან პანკისი არის სენსიტიური თემა,რა უნდა ქნას ხელისუფლებამ? თუ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ, ყველასთვის სამართალი ერთნაირად უნდა აღსრულდეს, რატომ კეთდება მუდამ იმის ხაზგასმა, რომ ჩვენგან განსხვავებულები არიან. ამით ხომ მათი გარიყვა ხდება საქართველოს დანარჩენი ტერიტორიიდან...

– რასაკვირველია, მართალი ხართ, მაგრამ ყველაფერს სჭირდება ტაქტიკურად სწორი მიდგომა. შეიძლება შევარდეს ჯარი და დაიჭიროს ყველა, მაგრამ რას მოგვიტანს, შედეგი რა იქნება? ამაზე ხომ უნდა დაფიქრდეს ვინმე. ამიტომ, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა წავიდეთ, ერთი ხელით უნდა ვაკეთოთ ისე, რომ აღვადგინოთ სამართლიანობა, მეორე ხელით უნდა გავაკეთოთ ის, რაც ადგილობრივ მოსახლეობას უნდა. პირველ რიგში, ეს არის წყლის პრობლემის მოგვარება.

– პანკისში მომხდარი ამბების პარალელურად საკმაოდ ოპერატიულად დადო ნიუსი ჩეჩენი მებრძოლების საიტმა. ნიუსს თან ახლავს „ლაივ“ ვიდეოც და ბოლოს ისმის „ალაჰ აკბარ!“ დაუფიქრებელმა ნაბიჯებმა რამდენად მძიმე ვითარებამდე შეიძლება მიიყვანოს მდგომარეობა?

– თუკი გადაიდგმება დაუფიქრებელი ნაბიჯები, ძალიან მძიმე შედეგამდე შეიძლება მიგვიყვანოს ამ ყველაფერმა. არ მინდა მძიმე ვითარების შექმნა, მაგრამ ერთი რამის თქმა შემიძლია, ხელისუფლების მხრიდან ხშირად ისმოდა, რომ სიტუაცია დამშვიდდა, ცეცხლი ჩაქრა. ცეცხლის ჩაქრობა არ არის მთავარი, მთავარი არის პრობლემის ლიკვიდაცია, ეს არის მთავარი, ზუსტად იმიტომ, რომ შანსი არ მივცეთ ჩვენს მოწინააღმდეგეს, რომელიც აუცილებლად შეეცდება, შექმნილი სიტუაცია სათავისოდ გამოიყენოს, რაც არაერთხელ გამოუყენებია 1998 წელს, 2002, 2012 წლის აგვისტოში, პანკისის ხეობაში.

ეს ხეობა არის პატარა, 8 ათასი კაცი ცხოვრობს, წარმოიდგინეთ, როგორი ინტერესით უყურებენ ამ პატარა ხეობის აურზაურს არა მხოლოდ კავკასიის ქედის იქიდან, არა მხოლოდ სადღაც ერაყში და სირიის სივრცეში, არამედ საქართველოს რეგიონებში, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ბევრი პრეტენზია არის ხელისუფლების მიმართ, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ არ თვლიან თავს ქართული სახელმწიფოს მოქალაქეებად. ამიტომ შეცდომის უფლება დღეს ხელისუფლებას აღარა აქვს, მორჩა. უნდა იზრუნოს პრობლემის აღმოფხვრაზე, სამართლებრივი იქნება თუ ინფრასტუქტურული მხარე.

ესაუბრა
თამთა ქარჩავა

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘ



ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲝᲑᲐ ნიჭია და წუთისოფელმა ნაღდ მამულიშვილს რომელიმე სხვა პლანეტაზე რომც არგუნოს ცხოვრება, ის მეცხრე ციდანაც თავის ქვეყანას დაუწყებს ძებნას და ათი ენა რომც იცოდეს, ის მაინც დედის ნამღერი იავნანის ენით ჩამოსძახებს მეცხრე ციდანაც თავის ქვეყანას სიყვარულის საგალობელს.

*ეს სიტყვები ზედგამოჭრილია XX და XXI საუკუნეთა საერთაშორისო ჟურნალისტიკის მეტრზე — **მელორ სტურუაზე**, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რუსეთში მოღვაწეობდა და საბჭოთა კავშირის დანგრევის მერე უკვე სამი ათეული წელიწადია ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიდო ბინა. მკითხველი უთუოდ მიხვდა, რომ ბატონი მელორი ჯერ რუსულად წერდა, ახლა კი ინგლისურად წერს. მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთი წუთითაც არ გადასხვაფერებია ქართული გული, რომელიც, თუ შეიძლება ასე თქმა, მუდამ ქართულად უძგერდა და თვითონაც მუდამ ქართველად რჩებოდა.*

*ამის ცხადი დადასტურებაა მელორ სტურუას ახლახან თბილისში პირველად გამოცემული, სხვადასხვა დროს დაწერილი ქართული ლექსები, კრებული შედგენილია ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“ ძალისხმევით და სავამომცემლო პროგრამა „ლოგოსის“ სტამბაში დაიბეჭდა. კრებულს ამ ასოციაციის პრეზიდენტის **ვალერი ასათიანის** წინათქმა უძღვის.*

*ქვემოთ ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ბატონ **ვალერის** ზემოხსენებულ წინათქმასა და ბატონ **მელორის** რამდენიმე ლექსს.*

ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ სახელი კარგადაა ცნობილი ჟურნალისტურ სამყაროში. მე-20 საუკუნის საბჭოთა პუბლიცისტიკა წარმოუდგენელია მისი მაღალპროფესიული და მძაფრი წერილების გარეშე. საყოველთაო ინტერესი აღძრა მ. სტურუას წიგნებმა პოლიტიკურ თემებზე – „გრეგორი კორსოს აღსასრული“ (პოეტის ბედი ამერიკაში), „მარიონეტები“, „80-იანი წლების ამერიკა“ და მრავალი სხვა.

2013 წელს დაუცხრომელმა მელორ სტურუამ რუსულ ენაზე გამოსცა თავისი ლექსების კრებული სახელწოდებით „Стихотворения конца жизни“, რომელშიც აირეკლა ავტორის მრავალისმომცველი მსოფლხედვა, უბადო ინტელექტი, მშვენიერების მისეული აღქმა, სიღრმისეული წვდომა, ლირიზმი... აქ ხასიათების ძერწვას და მუსიკალურ ეტიუდებს ერწყმის დიალოგი გენიოსებთან (ჰომეროსი, არისტოტელე, ბახი, აინშტაინი და სხვა).

მშობლიურ, ქართულ ენაზე დაწერილი ლექსების ეს კრებული – სიურპრიზი – ახალი რაკურსით წარმოგვიდგენს „ჟურნალისტიკის ლეგენდას“. მოვიხმობ მელორ სტურუას მხოლოდ ზოგიერთ სტრიქონს:

„კვლავ დამათრობს სურნელით საქართველოს მიწა მე, სადაც ფეხი ავიდგი, ვაჟკაცობა ვიწამე...“.

„გადავეყრდენ, მივეკარ მამა-პაპურ ყავარჯენს“,

„ლექსის ჩუქურთმა გამინაგიფე, როცა იმედებს გაგან გულისა...“,

„ისევ ჩემი თბილისი, მათრობს მისი მიწა მე, აქ პირველად პოეტის აღტაცება ვიწამე...“,

„ნეტავ როდის წამყვება ჩემი დროის ფერია, მზე თანდათან იხრება, ზეცაც ვარდისფერია...“,

*კრებულში ხშირად ვხვდებით ალუზიებს: **„ვითარც უხორცო ვარ უშიშარი, ჩანჩქერს გავყვები მე ნაფოტივით“; „გალაკტიონის როკავს აკვანი, როგორც ხომალდი არგონავტების“, „აღზევანს მავალ...“.***

დღეს ამერიკაში მცხოვრებმა 90 წლის მელორ სტურუამ გადაწყვიტა თავისი გულის სიღრმიდან ამოსული გრძნობები, ნაფიქრალი, საკუთარი ფესვების – მამულის წყალჭალის, საქართველოს, თბილისის სიყვარული ალალად გამოეხატა პოეტურ სტრიქონებში...

„აქ პირველად სამშობლოს სიყვარული ვიწამე, თუ მოვკვდები, მიშვილებს საქართველოს მიწა მე“.

ᲕᲐᲚᲔᲠᲘ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ,
ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲗᲐ ᲓᲘᲐᲚᲝᲒᲘ XXI“ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

ᲐᲙᲛᲔᲘᲡᲢ ᲠᲔᲖᲝ ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲡ

შენ გამიჩინე საქმე,
როცა მაჩუქე „აკმე“,
აღარ ვარ მარტო აქ მე,
ყველგან დამყვება „აკმე“.
გულს ამიძგერებს „აკმე“,
ვლაგმე და ვერ ავლაგმე.
ამერიკაში „აკმე“
– ნელსურნელებას აკმევს.

5 ᲗᲔᲒᲖᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 2001 ᲬᲔᲚᲘ,
ᲛᲘᲜᲔᲐ�პᲝᲚᲘᲡᲘ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲙᲐᲮᲘᲡ ᲚᲝᲪᲕᲐ

სათუთო, როგორც ენძელა,
მამაცო, როგორც მარაგდა,
ჩვენ ვიცით, რატომ გეძნელა
ჩარაზვა თერგის დარაგთა.

ვინ გაექცევა ყორანსა,
ცაში რომ აქსოვს არშიებს?
და ურჯულოთა ყურანსა
შენ მაინც ჯვარი არჩიე.

ჯვარცმული კიდეც გადარჩი,
თავს გეხვევიან პეპლები,
იწვი და იწვი ღადარში,
იწვი და არ იფერფლები!

ᲒᲐᲛᲮᲜᲔᲕᲔᲑᲐ

რა ვუყოთ, ერთხელ დაეცი,
გამხნევდი, ისევ ადგები.
თავს ნუ მოიკლავ, ვაუკაცო,
მეგობრებს გამოადგები.

რას იზამ, წილად არ გერგო
გზა და ბილიკი ნატკეპნი.
თავს ნუ მოიკლავ, ჭაბუკო,
დედ-მამას გამოადგები.

რად დაიშანთე თვალები,
თვალები ცრემლით ნათქვეფი,
თავს ნუ მოიკლავ, რაინდო,
სიყვარულს გამოადგები.

არ დაიდარდო, მაჭარო,
დრო მოვა – ღვინოდ დადგები.
თავს ნუ მოიკლავ, ქართველო,
სამშობლოს გამოადგები.

ᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲙᲐᲙᲘ

ბედი, მჩატე ვით ლიტონი,
და მძიმე, როგორც ბუმბული...
ილია – მამა ერისა,
აკაკი – ერის ბულბული.
თავს გვევლებიან, გვიცავენ
მნათენი გულის ძგერისა.
აკაკი – ერის ბულბული,
ილია – მამა ერისა.

ორი სპეტაკი მწვერვალი
თავშესაფარად გვეღირსა:
აკაკი – ერის ბულბული,
ილია – მამა ერისა.

ღვინოდ და წამლად აქციეს
ბალღამი გულს ჩაგუბული,
ილია – მამა ერისა
აკაკი – ერის ბულბული.

გვიხსნიან, მაინც გვიხსნიან
თუკი უფალმან შეგვრისხა!
აკაკი – ერის ბულბული,
ილია – მამა ერისა.

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲣᲜᲣᲜᲘ

დავზარდეთ ალგეთს ლეკვები:
კბილები – ბასრი ბროლები,
ჩვენ იავნანას ვუმღერდით,
არჩიეს როკ-ენ-როლები.

დავზარდეთ ალგეთს ლეკვები,
მათი აკვანი ვარწიეთ,
დედებმა ჩოხა შეკერეს
მათ კი ჯინსები არჩიეს.

ჯავრი რომ სჭამონ მგლისანი,
დავზარდეთ ალგეთს ლეკვები,
მათ სხვა არჩიეს მიზანი,
გაცრუვდა ჩვენი გეგმები.

ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲙᲕᲐᲜᲘ

ირემი მთაში ყვიროდა,
ტყვია იგემა მზაკვარი...
და ირწეოდა რიონთან
გალაკტიონის აკვანი.

ბუნება ზამთარს მინებდა
და აერია გზა-კვალი,
ათბობდა, აშოშმინებდა
გალაკტიონის აკვანი.

ზღვამ იგრიალა, რა დარჩა?
მუხის ფესვები და ქვანი,
მაგრამ არ გაქრა, გადარჩა
გალაკტიონის აკვანი.

ესაფრებიან, რა იცის,
თვალნი ავნი და ძაგვანი,
იწვის და მაინც არ იწვის
გალაკტიონის აკვანი!

ირწევა ნაირნაირი,
მშობლურ ანბანის წამყვანი,
როგორც რუსთველის შაირი
გალაკტიონის აკვანი!

* * *

ერისკაცთ კლავენ ცოლების თვალწინ,
დალასში იყო თუ წიწამურში.
თქეში სისხლისა გვაწვიმს და გვაწვიმს,
გვაწვიმს და გვაწვიმს ხვალ,
დღეს და გუშინ.

წუთისოფელი ისე ირევა –
ასე იქნება ახალ მოსვლამდე,
განა ოდესმე გამოილევა
ბერბიჭაშვილი, ანდა ოსვალდი?

ᲑᲣᲛᲔᲠᲐᲜᲒᲘ

მელანდეგოდა ოტელოს მთვარე
და დაგლეჯილი გველის პერანგი.
ხან ფეხაკრეფით, ხან მოელვარე
გიბრუნდებოდი ვით ბუმერანგი.
გშვენის, ლამაზო, ეს სივერაგე
და უგულოთა შენ გშვენის გული.
გიბრუნდებოდი ვით ბუმერანგი,
შენით დამთვრალი და შერისხული.

ლოდი დამაწვა მე ბუმბერაზი,
და თუმც ვიყავი ჯვარზე გაკრული,
გიბრუნდებოდი ვით ბუმერანგი,
გაბრუებული და გათანგული.

მე მიჯაჭვული ვარ ამირანი
და ღვიძლს მიკორტნის შავი არწივი,
მაინც ვბრუნდები ვით ბუმერანგი,
გაბრუებული და გათანგული.

მე მიჯაჭვული ვარ ამირანი
და ღვიძლს მიკორტნის შავი არწივი,
მაინც ვბრუნდები ვით ბუმერანგი,
სუფრას რომ უვლის ჯიხვის ყანწივით.

გახელებული მხედრის დეზებით
ბარათაშვილის მიქრის მერანი.
ჩემი სიზმრებით, ჩემი ლექსებით
გიბრუნდებოდი ვით ბუმერანგი.

სახრჩობელიდან და ნატვრის ხიდან
არ მიწერია მოსვლა მე რაკი,
ჯოჯოხეთიდან თუ სამოთხიდან
დაგიბრუნდები ვით ბუმერანგი.

ᲛᲘᲜᲔᲐ�პᲝᲚᲘᲡᲘ,
2018 ᲬᲚᲘᲡ ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ᲓᲦᲔᲡ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ, ᲘᲕᲐᲜᲔ ᲛᲐᲩᲐᲑᲚᲘᲡ №13-ᲨᲘ, ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲛᲔᲚᲝᲠ ᲡᲢᲣᲠᲣᲐᲡ ᲚᲔᲥᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ – „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡ“ ᲬᲐᲠᲓᲒᲔᲜᲐ.
ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 18 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.



ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘᲡ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ



ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ **მემკვიდრეობის ძეგლებისა და ღირშესანიშნაობების დაცვის საერთაშორისო დღე სოხუმში საგანგებო გამოფენით აღინიშნა. ექსპოზიციას უმასპინძლა მხატვართა კავშირის ცენტრალურმა საგამოფენო დარბაზმა, რომელიც განთავსებულია გასული საუკუნის დასაწყისში აშენებულ, ფრესკებიან, ლამაზი ფასადის შენობაში.**

სოხუმში წლიდან წლამდე სულ უფრო მცირდება ასეთი შენობების რაოდენობა. გამოფენაზე წარმოდგენილია როგორც მხატვართა ნამუშევრები, ასევე აფხაზეთის ისტორიისა და არქიტექტურის ამსახველი ფოტოები, ღია ბარათების კოლექციები, რომლებზეც ასახულია აფხაზეთის ქალაქები და ბუნება XIX-XX საუკუნეების გასაყარზე. მაგალითად, დამთვალიერებელი აფხაზი მხატვრის ვალერი გამგიას ლინოგრავიურების კოლექციაში ნახავს მოქვის ტაძარს, ბაგრატის ციხეს და არაერთ სხვა ისტორიულ ძეგლს. ბესლეთის ხიდი, კამანის ეკლესია, ლიხნის სასახლე — გამოფენაზე კულტურული მემკვიდრეობის ეს ძეგლები წარმოდგენილია ნახატი ტილოების სახით.

სამხატვრო გალერეის დირექტორის სურამ საქანიას თქმით, გამოფენილია არაერთი დოლმენის (მეგალითური ნაგებობა, რომელიც ძირითადად შედგება ვერტიკალური შემომსაზღვრელი კოჭებისგან და ჰორიზონტალური ბლოკებისგან) გამოსახულება, მათ შორის ეშერის დოლმენისა, რომელიც თბილისში ინახება და გამოფენაზე მხატვარ ნიკოლაი პისარჩუკის ნამუშევრის სახითაა წარმოდგენილი. გამოფენაზე ასევე წარმოდგენილია აფხაზი მხარეთმცოდნის ანზორ აგუმას ღია ბარათების კოლექცია, რომელიც დამთვალიერებელს წარმოდგენას უქმნის ასი წლის წინანდელ სოხუმზე და, როგორც გამოფენაზე მისულმა აფხაზმა ისტორიკოსმა სტანისლავ ლაკობამ შენიშნა, თვალსაჩინოდ

აჩვენებს, რომ ასი და მეტი წლის წინ სოხუმი ბევრად ლამაზი, მწვანე და კომფორტული იყო, ვიდრე ახლაა: **„სოხუმი და მისი სანაპირო პირდაპირი მნიშვნელობით გაწკრიალებული იყო, თუმცა ცხადია, მაშინ არ იყო გზის ასეთი საფარი და ზაფხულიც მტვრიანი იქნებოდა, მაგრამ სოხუმი იყო ძალზე კოლორიტული ქალაქი თავისი არქიტექტურით, რადგანაც დაგეგმარდა სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების ანალოგიით. სოხუმში ცხოვრობდა ხალხი, ვისაც დიდი დრო ჰქონდა გატარებული საზღვარგარეთ - რუსები, ბერძნები, სომხები, ირანელები და ადგილობრივი მოსახლეობა. ტყუილად კი არ უწოდა სერგეი ესენინის მეგობარმა ვადიმ შერშენევიჩმა ქალაქს „სოხუმური ნიცა“. მცირე ხნით თვითონ ესენინსაც უცხოვრია სოხუმში. ცნობილია, რომ ჭანბასთან ერთად ავტომობილით მგზავრობისას, ესენინს ავტომობილი გაუჩერებია დღევანდელ დენდროპარკთან, საიდანაც თვალი მოუვლია სოხუმის უბისათვის და უთქვამს, ერთხელ როგორღაც აღვწერ ამ ედემსო“.**

სტანისლავ ლაკობას თქმით, დღეისათვის უყურადღებოდაა დარჩენილი ქალაქის როგორც ისტორიული, ასევე არქიტექტურული გარემო.

„ვის როგორც უნდა, ისე იქცევა. ვხედავ მოუვლელობას, ზრუნვის ნაკლებობას. ვისაც სად უნდა იქ აშენებს. არ ხდება წაქცეული ხეების სანაცვლოდ გამწვანების აღდგენა-განახლება. მეტი ყურადღება უნდა ეთმობოდეს ამას, მაგრამ პასუხად ამბობენ, რომ სახსრები არ ჰყოფნით. რა თქმა უნდა, არ ეყოფათ, როცა ასე ძვირად ღირებული ავტომობილების პარკი აქვთ. ფაქტობრივად, ჩვენი ბიუჯეტი ჩინოვნიკების უზრუნველყოფას ხმარდება, რაც შეუძლებელს ხდის სასარგებლო საქმის კეთებას“, — ამბობს სტანისლავ ლაკობა, რომლის თქმითაც, ომისშემდგომ აფხაზეთში ქალაქებს მძიმე დრო დაუდგათ.

„ქალაქი კი რა არის? ქალაქი — ეს სახელმწიფოა. თუ ქალაქი ინგრევა, ესე იგი, ინგრევა სახელმწიფო. საბჭოთა პერიოდში ამბობდნენ, რომ უნდა წაიშალოს ზღვარი ქალაქსა და სოფელს შორის, რათა სოფელი იქცეს ქალაქად, ახლა კი ჩვენთან უკუპროცესი მიმდინარეობს“, — ასეთია ისტორიკოს სტანისლავ ლაკობას ვერდიქტი.

ᲔᲚᲔᲜᲐ ᲖᲐᲕᲝᲓᲡᲙᲐᲘᲐ

ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ - ᲡᲣᲡᲢᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ, ᲪᲣᲓᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ

ᲑᲝᲚᲝ �პᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის სამინისტრო ხშირად აკრიტიკებს პუბლიკაციებს, სადაც საუბარია იმაზე, რომ დღეს „რესპუბლიკა“ იმყოფება ყრუ ჩიხში და უკვე მრავალი წელია, ეკონომიკა გაჩერებულია.

თუმცა, რაც არ უნდა თქვას სამინისტრომ, რეალობა ამით არ იცვლება. ის, რომ აფხაზეთის ეკონომიკა უკვე დიდი ხანია, არ ვითარდება, ჩანს ყველაფერში და ყველაფრიდან.

თუ ასეა, მოდით, ვნახოთ, რას წარმოადგენს ის — ანუ აფხაზეთის ეკონომიკა.

2018 წელს აფხაზეთის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლები 50 მლნ. დოლარს შეადგენდა. ეს არის პოსტსაბჭოთა სივრცეზე რეალურ სექტორში არცთუ გიგანტური საინვესტიციო პროექტის ღირებულება. მაგალითად, 65 მლნ. დოლარი ღირს უზბეკეთში წინდების მწარმოებელი ახალი ქარხანა.

დავუშვათ, საკუთარი ეკონომიკა ჩავარდა, მშპ-ს 50% ჩრდილშია. მაგრამ ხომ არის საგარეო ფინანსური დახმარება, რომელიც ძირითადად ხმარდება კაპიტალურ და ინფრასტრუქტურულ მშენებლობას?

თუმცა, ბოლო წლებში ეს დახმარება საგრძნობლად შემცირდა — ამჟამად რუსეთის ფედერაცია ახორციელებს 2017-2019 წლებზე გათვლილ საინვესტიციო პროგრამას და მისი მოცულობა შეადგენს 6 მლრდ. რუბლს, ანუ დაახლოებით 90 მლნ. დოლარს 3 წელიწადში.

ეს არცთუ ისე ბევრია — სულ რამდენიმე წლის წინათ ეს მაჩვენებელი წელიწადში 100 მლნ. დოლარს აღწევდა. თუმცა, კრიზისთან და რუსეთში ფულადი ნაკადების შემოდინების შემცირებასთან ერთად, შემცირდა აფხაზეთისადმი გაწეული დახმარებაც.

სინამდვილეში, თუკი ჩვენ დავაპირებთ საუბარს აფხაზეთის ეკონომიკაზე, ძალიან სწრაფად აღმოვაჩენთ, რომ საუბრის საგანი არ არსებობს.

ბოლო წლებში აფხაზეთში ბევრს ლაპარაკობენ ისეთი მსხვილი პროექტების რეალიზებაზე, რომლებიც მოახდენენ გარღვევას ეკონომიკაში, თუმცა ეს ძალიან სასაცილოა — ეს წააგავს იმას, რომ ოჯახი, რომელსაც აქვს შემოსავალი 300 დოლარი თვეში, გეგმავს ახალი ბინის ყიდვას და უცხოეთში დასასვენებლად წასვლას.

სადღეისოდ არსებობს 3 ფაქტორი, რომელიც აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებას აფერხებს.

პირველი და უმთავრესია — სუსტი სახელმწიფო, რომელსაც არ შეუძლია სამართლებრივი სივრცის და ერთიანი თამაშის წესების შექმნა. აქედან გამომდინარეობს კრიმინალური ქაოსი, რომელმაც შეაღწია ყველა სფეროში და ნებისმიერი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ჯგუფის მიერ საკუთარი წესების დამყარების საშუალება.

მეორე ფაქტორია ცუდი და ძალიან მოძველებული ინფრასტრუქტურა.

დღეს აფხაზეთი ფლობს ნახევრად დანგრეულ საბჭოთა ინფრასტრუქტურას, რომელიც გამორიცხავს თანამედროვე განვითარებას. სწორედ აქ გადის პრინციპული ზღვარი, რომელიც აშორებს აფხაზეთს ყველა მეზობლისგან.

ახალი ინფრასტრუქტურა აშენდა არა მხოლოდ რუსეთში, არამედ ბევრად უფრო ღარიბ საქართველოში და სომხეთში — ეს არის გაზის და ელექტროენერგიის მომარაგების თანამედროვე სისტემები, ახალი ელექტროსადგურები, აეროპორტები ევროპაში იაფი ბილეთებით, ციფრული გარემო და ა.შ.

როგორ უნდა აშენდეს ეკონომიკა იქ, სადაც არ არის გაზი, არ არის დამოუკიდებელი ენერგოსისტემა, სატრანსპორტო კვანძები და გზები. სადაც დაკეტილია საზღვრები და არ არსებობს ციფრული სამომხმარებლო ეკონომიკა? რა უშველის ამას ყველაფერს? მხოლოდ უზარმაზარი ფული, რომელიც ჯერ არსად ჩანს.

მესამე სირთულე არის ობიექტური ხასიათის - ომის შემდგომი დეპოპულაციის და ტრადიციული ცხოვრების წესის მოშლის გამო შეუძლებელია სერიოზული შიდა ბაზრის გაჩენა 250 000-ან ქვეყანაში.

თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მთავარი პრობლემა ამჟამად არის სახელმწიფოს სისუსტე. ინვესტორები გაძარცვეს, გაიტაცეს, აქტივები კი წაართვეს.

გაძარცული ინვესტორების საპასუხო მოქმედებების გამო, დღეს, ფაქტობრივად, აფხაზეთი იმყოფება გარკვეული სადამსჯელო სანქციების პირობებში. არ არსებობს არც ერთი რუსი დეპუტატი, რომელმაც არ იცის აფხაზეთში ინვესტორების პრობლემების შესახებ.

ფართოდ გავრცელებულმა ცნობებმა ძარცვების, გატაცებების და მკვლელობათა შესახებ საგრძნობლად შეცვალა რუსული მასმედიის, საექსპერტო წრეების და ბიზნეს საზოგადოების დამოკიდებულება აფხაზეთისადმი.

რომელი ნორმალური და „თეთრი“ ბიზნესი შემოვა აფხაზეთში ასეთ პირობებში?

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ აფხაზეთს ჰქონდა ღარიბი, მაგრამ რუსეთზე მტკიცედ ორიენტირებული ქვეყნის ეკონომიკური მოდელის შექმნის საშუალება. დღეს კი ესეც გამორიცხულია.

აფხაზეთის განვითარების დასაწყებად აუცილებელია კარდინალური ცვლილებები — არსებული პოლიტიკური სისტემის ლიკვიდაცია და მასშტაბური ანტიკრიმინალური ქმედებების წამოწყება.

აფხაზეთი უნდა გაეხსნას გარე სამყაროს, გაიხსნას ყველა საზღვარი და გზა, მათ შორის საქართველოსთან, აშენდეს ახალი გზა ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულებით. ბაზრის მცირე მოცულობის კომპენსირება შესაძლებელია უცხოელების რაოდენობის ზრდით.

აფხაზური ტრადიციული იზოლაციონიზმიც არის კატასტროფული შეცდომა — მაშინ, როდესაც არსებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ არეალებში რუსეთის ინტერესი აფხაზეთისადმი გასაგები მიზეზების გამო, მცირდება, ეკონომიკაში გარღვევის მიღწევა სრულიად გამორიცხულია.

სასაცილოა ეკონომიკურ გარღვევად 2-3 სათბურის აშენების მიჩნევა, იმ სიტუაციაში, როდესაც ინვესტიციები და ექსპორტი 2018 წელს შემცირდა 2017 წელთან შედარებით 25-25 მლნ. დოლარით.

ამიტომაც, რაც არ უნდა მოიწონოს თავი ეკონომიკის სამინისტრომ, ეს ვერ შეცვლის ერთ უდავო ფაქტს — აფხაზეთის ეკონომიკა წლების მანძილზე ტკეპნის ერთ ადგილს და მისი წინსვლის ნიშნები ჯერაც არ ჩანს.

EADAILY.COM

დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე

დაბადებიდან 140 წლისთავის გამო



მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის მოჭირნახულეთა შორის აკადემიკოს კორნელი კეკელიძეს გამორჩეული ადგილი უკავია. მეცნიერმა თავისი ღრმა განსწავლულობა, ნიჭი, ენერგია მთლიანად შეალია ქართველოლოგიის როგორც დარგის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. კორნელი კეკელიძემ ქართული მწერლობა იმთავითვე მსოფლიო კულტურის კონტექსტში მოაქცია და სრული კატეგორიულობით განაცხადა: **„ქართული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ IV-V სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით იგი გარდაქმნა ივერიზმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად.“**

კ. კეკელიძეს ქართულ სიძველეთსაცავებში დაცული უზარმაზარი მემკვიდრეობის გამოვლენამ და შესწავლამ საფუძველი მისცა, ეთქვა: **„არც ერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამა თუ იმ საკითხის შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება, ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე.“**

გაივლის დრო და კ. კეკელიძის სამეცნიერო ღვაწლის შეფასებისას ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ხაზგასმით აღნიშნა: **„კ. კეკელიძის ნაშრომებმა აამაღლა და განამტკიცა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების პრესტიჟი მთელს მსოფლიოში.“**

კ. კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 (30) აპრილს, სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი). მისი წინაპრები გურიის მაღალმთიან სოფელ ზოტიდან ყოფილან. კორნელის მამა სამსონი მღვდელი იყო, დედა თებროლე უშვერიძე ღვთისნიერი, ძალიან კეთილი ადამიანი ყოფილა. მშობლებს კორნელის განათლებაზე ზრუნვა ადრიდანვე დაუწყიათ. 7 წლისა ქუთაისის ოთხკლასიან სასწავლებელში შეიყვანეს. მისი წარჩინებით დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიის სტუდენტი ხდება. მიზნად კი პეტერბურგის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელება დაუსახავს. მაგრამ ამ სურვილს ხელმოკლეობის გამო განხორციელება არ ეწერა. თუმცა, მას, როგორც წარჩინებულ კურსდამთავრებულს, სემინარია დაეხმარა და სწავლის გაგრძელების საშუალება მიეცა კიევის განთქმულ სასულიერო აკადემიაში. აქ მან თავი გამოიჩინა როგორც ბრწყინვალე სტუდენტმა. მისმა სადიპლომო ნაშრომმა სენსაცია გამოიწვია სამეცნიერო წრეებში.

კ. კეკელიძეს შესთავაზეს კიევში დარჩენა და მუშაობის გაგრძელება, მაგრამ მას სამშობლოსკენ გამოუწია გულმა. 1916 წ. თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად ინიშნება.

1918 წელს დიდმა ივანე ჯავახიშვილმა ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგა, თბილისში დაარსდა პირველი ქართული უნივერსიტეტი და ამ დიდი საქმის განსახორციელებლად გვერდით დაიყენა იმ დროის სახელოვანი ქართველი მოღვაწეები და მეცნიერები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი კ. კეკელიძე იყო. 1918 წლიდან გარდაცვალებამდე კ. კეკელიძე ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაფუძნებულ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. 1919-1925 წლებში ის იყო სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დეკანი, 1926-30 წლებში — სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი. კ. კეკელიძე 1941 წელს დაარსებულ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ აკადემიკოსთა შორისაა. 1942-49 წლებში განაგებდა მისი მონაწილეობით დაარსებულ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს.

კ. კეკელიძის მიერ სამეცნიერო მოღვაწეობის დასაწყის ეტაპზევე გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა სამეცნიერო წრეების განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა. ამ გამოკვლევებმა საზღვარგარეთელ არაერთ მეცნიერს აღუძრა ინტერესი ქართული მწერლობისადმი.

კ. კეკელიძის ღრმა განსწავლულობამ, განსაცვიფრებელმა ერუდიციამ განაპირობა, რომ მან თბილისის ახალდაარსებულ უნივერსიტეტს უმოკლეს დროში შესთავაზა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეული (პირველი დაიბეჭდა 1923 წ., მეორე კი — 1924 წ.), რომელმაც იმთავითვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ბელგიელმა მეცნიერმა პაულ პეეტერსმა განაცხადა: **„ათასორასგვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლებისა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელი!“**

1955 წ. რომში გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ისტორიის გერმანული ვერსია, რომლის სატიტულო ფურცელზე აღნიშნულია, რომ წიგნი კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის I ტომის საფუძველზეა დამუშავებული მიქელ თარხნიშვილის მიერ დოქტორ იულიუს ასფალგის თანამშრომლობით. ევროპის ქვეყნებში ითარგმნებოდა და იბეჭდებოდა კ. კეკელიძის ცალკეული გამოკვლევები.

მედიევალური კულტურით დაინტერესებული ადამიანები, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ გვერდს ვერ აუვლიან კ. კეკელიძის ნაშრომებს. ის იკვლევდა ქართულ-ბიზანტიურ, ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთმიმართების საკითხებს. მან თავისი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის, ძველი ქართული დამწერლობის, ძველი ქართული წელთაღრიცხვის პრობლემათა შესწავლაში. გამოქვეყნებული აქვს ორასორმოცდაათზე მეტი ნაშრომი, რომლებიც თავმოყრილია კრებულებში: „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“ (გამოქვეყნებულია 14 ტომი).

ბიზანტია თავისი მდიდარი სულიერი ცხოვრებით, ღრმა და მრავალმხრივი კულტურით რამდენიმე ასწლეულის მანძილზე შუასაუკუნეობრივი ევროპის ყველა ქვეყანაზე წინ იდგა. მის კულტურას ესწრაფვოდა და ითვისებდა მთელი დასავლეთ ევროპული ინტელექტუალური ელიტა. ამდენად, თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ კ. კეკელიძის მიერ ბიზანტინოლოგიაში შეტანილი უზარმაზარი წვლილი დასავლეთ ევროპული კულტურის წინაშე გაწეული სამსახურიცაა.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე აღმზრდელია ფილოლოგთა არაერთი თაობისა, რომელთა წარმომადგენლები დღეს წარმატებით მუშაობენ ქართულ უნივერსიტეტებში, სასულიერო სემინარიასა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში. სწორედ თაობათა ცვლაში, ტრადიციათა უწყვეტობაშია დიდ მოღვაწეთა უკვდავება. კორნელი კეკელიძის სახელიც მათ რიცხვში იქნება აწ და მარადის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია;
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საიმიჯო ვიდეორგოლი საქართველოს შესახებ

ტელეკომპანია Bloomberg-ი **საქართველოს შესახებ 3-წუთიან ვიდეორგოლს ამზადებს. მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მედიასაშუალების გადამღები ჯგუფი საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მოწვევით იმყოფა.** Bloomberg-ის **წარმომადგენლებმა თბილისის ისტორიული უბნები დაათვალიერეს და ქართული ნაციონალური ბალეტის „სუხიშვილების“ რეპეტიცია გადაიღეს.** Bloomberg-ის **ფოკუსში მოხვდა ქართული კულინარიული კერძები, სპეციალურად მათთვის გაიმართა მასტერკლასები. კახეთში გადამღები ჯგუფის წევრები ღვინის მარნებს ესტუმრნენ.**

ვიდეორგოლი საქართველოს ტურისტული პოტენციალის, კულტურის, სამზარეულოსა და ღვინის შესახებ მომზადდება და Bloomberg-ის არხზე ივნისში გავრცელდება.

ტელეკომპანია Bloomberg-ს მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში 433 მილიონი მაყურებელი ჰყავს.

ბათუმი ტურისტული სეზონისთვის ემზადება

წელს ტურისტული სეზონისთვის ბათუმის ბულვარის სანაპირო ზოლი შშმ პირთათვის ადაპტირებული იქნება.

ბათუმის ბულვარის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ადაპტირებული ინფრასტრუქტურის პროექტის ფარგლებში, პლაჟზე გადასასვლელი ხის ბილიკების, საშხაპეებისა და გამოსაცვლელის, ასევე, ადაპტირებული საპირფარეშოების მოწყობა იგეგმება.

სსიპ ბათუმის ბულვარმა იზრუნა ასევე ეტლით მოსარგებლე პირებისთვის ზღვაში შესასვლელი ტივტივა ეტლების შესყიდვაზე. შესაბამისი ტენდერი გამოცხადებულია. წინადადებების მიღება 2019 წლის 29 აპრილს დაიწყება და პირველ მაისს დასრულდება. შესყიდვის სავარაუდო თანხა 41 525 ლარს შეადგენს.

ტივტივა ეტლით სარგებლობა მომხმარებლებისთვის უფასო იქნება და შშმ პირებს ზღვაში დამოუკიდებლად შესვლის საშუალებას მისცემს. აღნიშნული პროექტი საქართველოში პირველად ხორციელდება და ინკლუზიური ტურიზმის განვითარებასა და ხელშეწყობას ემსახურება.



დედაქალაქის საკრებულოს დადგენილება, რომელიც სსიპ „თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის“ გაუქმებას ითვალისწინებდა, 23 აპრილიდან ძალაში შევიდა, მთავარი ბიბლიოთეკა 36 ბიბლიოთეკას აერთიანებდა.

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა უმრავლესობა, შიშობს, რომ მათ სამსახურის დაკარგვა ემუქრებათ, ისინი დედაქალაქის მერთან შეხვედრას ითხოვენ. ბიბლიოთეკარები წერილობით გარანტიას ითხოვენ, რომ მერია მათ დროებით ხელშეკრულებაზე არ გადაიყვანს, შედეგად, სამსახურიდან არ გაუშვებს და არც შენობებს გაასხვისებს.

„კახი კალაძესთან ვითხოვთ შეხვედრას და მოგვისმინონ. არ მინდა, რომ კახი კალაძის სახელი ან ხუნწარიას სახელი დარჩეს ბიბლიოთეკის ლიკვიდაციასთან. იურისტი აყვანილი გვყავს, სასამართლო გადაწყვეტს, პრეზიდენტის ბრძანებულებას როგორ აუქმებს საკრებულო.“ — აცხადებენ ბიბილიოთეკარები.

თბილისის მერიის მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორის თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილების ძალაში შესვლა არ ნიშნავს „მთავარ ბიბლიოთეკაში“ შემავალი 36 ბიბლიოთეკის არც თანამშრომლების განთავისუფლებას და არც შენობების გასხვისებას და საუბარია, მხოლოდ სტატუსის შეცვლაზე. გაუქმებული სსიპ-ის თანამშრომლები სამუშაოდ გადადიან მუნიციპალიტეტის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანებაში, რომელიც მერიის მიერ შექმნილი არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირია. ნინია მაჭარაშვილის განმარტებით, ბიბლიოთეკებში დასაქმებული 300-ვე თანამშრომელი შეინარჩუნებს სამსახურსა და ხელფასს და იმუშავებს არსებულ შენობებში.



როგორ მოატყუეს გორბაჩოვი ამერიკელებმა?

ზოგი რამ ნატოს ისტორიიდან

აპრილის დასაწყისში ვაშინგტონში გაიმართა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საიუბილეო სამიტი. 70 წელიწადი გავიდა ნატოს შექმნიდან. ბლოკის შექმნის ინიციატორი აშშ-ის პრეზიდენტი ტრუმენი გახლდათ, რომელმაც გაიზიარა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჩერჩილის მოსაზრება საბჭოთა კავშირის აგრესიული პოლიტიკის და მისთვის საპირისპირო ორგანიზაციის ჩამოყალიბების თაობაზე.

ანტიჰიტლერული კოალიციის სამეულის – აშშ-ის, სსრკ-ის და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამოკიდებულება მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე იწყებს ცვლილებას გაუარესების მიმართულებით, რაც თვალნათლივ აისახა უინსტონ ჩერჩილის მიერ 1946 წელს ფულტონში წარმოთქმულ სიტყვაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ნატოს შექმნა (შემქმნელთა განმარტებით) საბჭოთა აგრესიით და მსოფლიო ბატონობის სურვილის შესაკავებლად იყო გამოწვეული. და რომ არა საბჭოეთის ამბიციური გეგმები – ნატო არ შეიქმნებოდა. რამდენად შეესაბამებოდა ეს სასურველის რეალობად წარმოსახვას? ჩავხედოთ ისტორიას.

ერთი შეხედვით მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების (მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია) შემხედვარე კაპიტალისტურ სამყაროს მართლაც ჰქონდა თავსატკივარი, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის დროს შექმნილმა ანტიჰიტლერულმა კოალიციამ და მჭიდრო თანამშრომლობამ დასავლეთს დაანახა იმ სერიოზული და ფუნდამენტური ძვრების შესახებ, რასაც ამ იდეებში ჰქონდა ადგილი.

კომინტერნი, მსოფლიო რევოლუციის მთავარი იარაღი, სტალინის ინიციატივით 1943 წელს გაუქმდა. გარდა ამისა, ომის დამთავრებისთანავე სტალინმა არაერთხელ გამოთქვა სურვილი დასავლეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბების თაობაზე.

სტალინის აზრით, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დადებოდა ორივეს მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულება. მოგვიანებით, ხრუშჩოვმა გამოაცხადა დასავლეთთან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა, მაგრამ დასავლეთმა ყური არ უგდო საბჭოეთის ხელმძღვანელის სამშვიდობო პოლიტიკას და განაგრძო სსრკ-ის „აგრესიული“ მიზნების შემაჩერებელი ორგანიზაციის განმტკიცება-განვითარება.

ნატოს შექმნის ამოცანებზე მოსწრებულად თქვა ამ ორგანიზაციის პირველმა გენერალურმა მდივანმა ლორდმა ისმეიმ: „ნატო შეიქმნა იმიტომ, რომ ამერიკელები იყვნენ ევროპაში, საბჭოთა კავშირი – ევროპის გარეთ, გერმანია – ევროპის ქვეშ“. თუმცა გერმანია 1955 წელს შეიყვანეს ნატოში.

გერმანიის ნატოში გაწევრებით ნატოს გაფართოება არ შეწყვეტილა, პირიქით პროცესი შეუქცევადი გახდა, განსაკუთრებით „ცივი ომის“ დასრულებისთანავე, რითაც დასავლეთმა დაარღვია სიტყვიერი დაპირება – რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე ვაშინგტონი დაჰპირდა მაშინდელ საბჭოთა ლიდერ გორბაჩოვს, რომ ნატოში არ შეიყვანდნენ ვარშავის ხელშეკრულების წევრ სახელმწიფოებს. ამის თაობაზე წერს ამერიკული ჟურნალი „ნეშენალ ინტერესტი“. ჟურნალის მიხედვით, დაპირების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ნატოს დაშლის შიშით, რაც ლოგიკურად ჟღერს.

ორგანიზაცია – შექმნილი საბჭოთა საფრთხის შესაჩერებლად, აღარ იყო საჭირო საფრთხის (სსრკ) გაქრობის გამო. „საბჭოთა საფრთხემ“ აშშ-ის პოლიტიკურ წრეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთნი მოითხოვდნენ ორგანიზაციის დაშლას, მეორენი – მოქმედების მიმართულობის შეცვლას. გაიმარჯვა მეორემ.

ვაშინგტონმა ნატოს ახალი სული შთაბერა ბალკანეთში შეჭრით, ხოლო 1994 წელს – პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ ჩამოყალიბებით. პროგრამა შეიქმნა ნატოს არაწევრი სახელმწიფოებისთვის, ე.ი. ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისთვის, ისე, როგორც ყოფილ საბჭოეთში შემავალი რესპუბლიკებისთვის.

პროგრამის სულისჩამდგმელი აშშ-ის პრეზიდენტი კლინტონი იყო, რომელმაც ვერ გაიხსენა წინამორბედთა სიტყვიერი პირობა – მიცემული საბჭოთა ლიდერის გორბაჩოვისთვის – ნატოს აღმოსავლეთით არგაფართოების თაობაზე.

კლინტონის ქცევა ნათელი დამადასტურებელი იყო აშშ-ის ცრუ, ქამელეონისებური პოლიტიკისა. რუსეთის ხელისუფლება, განსაკუთრებით პრეზიდენტი პუტინი – დასავლური პოლიტიკის ესოდენი ფლიდობით იმედგაცრუებული, სინანულით ამბობდა აშშ-ის ადმინისტრაციისა და პრეზიდენტის მიერ გორბაჩოვისთვის მიცემული პირობის დოკუმენტში არასახვის თაობაზე. პრეზიდენტი კლინტონი კი ურცხვად აცხადებდა – ვაშინგტონს გორბაჩოვისთვის არავითარი პირობა არ მიუციაო, რაც უარყო გასულ წელს აშშ-ის მიერ საიდუმლო სახელმწიფო საარქივო მასალების გამოქვეყნებამ.

დოკუმენტებში შემონახულია ზეპირი მოლაპარაკებების მასალები, ცხადია, გორბაჩოვის სასარგებლოდ, რაც ოთხმოცდაათიანი წლების ისტორიას ვერ შეცვლის. ის მხოლოდ ისტორიისთვის გამოდგება, სათაურით – „როგორ მოატყუეს გორბაჩოვი ამერიკელებმა“.

როგორ მოიქცნენ ვარშავის პაქტის ყოფილი წევრები? – ისე, როგორც მშიერს შეეფერება. აქოდა, ამერიკა ფულად დახმარებას გაგვიწევსო, პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, სხვა ქვეყნები უმალ ჩადგნენ ნატოში შესასვლელ, უფრო სწორად გრანტების მისაღებთა რიგში. ასე და ამრიგად, ნატო უშუალოდ მიადგა რუსეთის საზღვრებს და თუ საღმა აზრმა გავლენა არ იქონია ბრიუსელზე, ნატო-რუსეთის დაპირისპირება, ჯერჯერობით ვერბალური, ცხელში გადაიზრდება.

> **აშშ-ის ზოგიერთი პოლიტიკოსის და მაღალჩინოსანი სამხედროს, ისე როგორც ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის აზრით, სრული შესაძლებელია უკრაინის, საქართველოს, მოლდოვას ნატოს რიგებში ხილვა, ანუ ნატოს შესვლა აღნიშნულ ქვეყნებში – გახშირებული ერთობლივი წვრთნების, სამხედრო ბაზების შექმნის სახით. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვამს ბრიუსელი, ვაშინგტონი, ლონდონი, ბერლინი და პარიზი რუსეთის რეაქციას ზემომოყვანილი სამეულის ნატოში გაწევრებაზე.**

ნატოს მოქმედებიდან გამომდინარე, როგორც ჩანს, ნატოს წევრები ადეკვატურად ვერ აღიქვამენ რუსეთის მოსალოდნელ რეაქციას. არადა, ვითარების არასწორმა შეფასებამ სრული შესაძლებელია, სამყარო მესამე მსოფლიო ომის საფრთხის წინაშე დააყენოს. ნაბიჯები აღნიშნულისკენ იდგმება. ერთ-ერთი, ნატოს გენერალური მდივნის სტოლტენბერგის განცხადებაა, რომელიც მან თბილისში „ნატო-საქართველო 2019“ სამხედრო წვრთნების დროს გააკეთა: „ვიმედოვნებ, რომ მალე ვიხილავთ საქართველოს ნატოში, რუსეთის პროტესტის მიუხედავად!“

მოსკოვმა აღნიშნული განცხადება „პროვოკაციად“ შეაფასა. დავუშვათ, სტოლტენბერგის ნათქვამი ასრულდა, რა შეიძლება მოჰყვეს ამას?

ესოდენ დიდი ავანსის მიცემა საქართველოსთვის ნატოს მორიგ სამიტამდე, რომელიც ამ ზაფხულს ბრიუსელში გაიმართება, რაღაცას ნიშნავს. თბილისი ამ სამიტიდან „მაპის“ მიღებას ელოდება, რომლის შესრულების შემდეგ მას ნატოში გაწევრება ელოდება. მოდით, პირდაპირ დავსვათ კითხვა – რას აძლევს ნატოს წევრობა საქართველოს ან უკრაინას?

ორივე ქვეყანამ რუსოფობია სახელმწიფო პოლიტიკად გადააქცია. ორივენი ცდილობენ, ნატოში შესვლით ამოეფარონ იმ ორგანიზაციას, რომელსაც ისინი უძლეველად თვლიან. იქ შესულები გაათმაგებული ძალებით გააგრძელებენ რუსეთზე პოლიტიკურ თავდასხმებს, ისე, როგორც პოლონეთი, ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. არ არის გამორიცხული, ააღორძინონ საკუთარი რევანშისტული პოლიტიკა (ნატოს იმედით) დაკარგულ ტერიტორიებთან მიმართებაში, რითაც უდავოდ გამოიწვევენ რუსეთის ადეკვატურ რეაქციას.

რა მოჰყვება ამას? ნატოს წესდების მე-5 პუნქტის ამოქმედება?! და რას ნიშნავს ეს, თუ არა ვაშინგტონის, პარიზის, ბერლინის, ... მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას? ანუ მესამე მსოფლიო ომს თბილისი-კიევის ამბიციებიდან გამომდინარე!!!

ვეჭვობ, რომ ნატოს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკოსების ოცნება, საკუთარი ქვეყნის განადგურება იყოს, მაგრამ, თუ თბილისმა და კიევმა – ნატოში შესულებმა, თავიანთი წინდაუხედაობით გადადგეს მილიტარისტული ნაბიჯი, ნატო გულხელდაკრეფილი შეხვდება აღნიშნულს და არ დაიცავს თავის წევრებს?

თუ არ დაიცავს, რაც სრული შესაძლებელია, თვით ეს ორგანიზაცია გახდება ლანძღვის ობიექტი და სამხედრო ბლოკი, რომელმაც საკუთარი წევრების დაცვა ვერ შეძლო – დაიშლება.

როგორ აფასებენ აღნიშნულს რუსეთში? – მარტივად. თუ ნატომ კარი გაუღო საქართველოს – ეს ნიშნავს იმას, რომ ნატო მზადაა რუსეთთან საომრად. არამყარი სახელმწიფოების ნატოში შესვლა ხელს მისცემს ნატოს (თუ მას ასეთი სურვილი აქვს) ნებისმიერ დროს წააქეზოს ისინი რუსეთის წინააღმდეგ, რასაც უდავოდ მოჰყვება რუსეთის რეაქცია.

სტატიის დასაწყისში აღვნიშნე ვაშინგტონის სამიტის თაობაზე, რომლის დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება უკრაინა-საქართველოს დამატებითი მხარდაჭერის აღმოჩენის შესახებ შავი ზღვის აუზში. „ჩვენ ვაფართოებთ ძალისხმევას შავი ზღვის რაიონში. შევათანხმეთ ღონისძიებათა პაკეტი დაზვერვითი სამუშაოების საწარმოებლად და ჩვენი პარტნიორების უკრაინა-საქართველოს დახმარების მიზნით“ , – განაცხადა სტოლტენბერგმა.

ბრიუსელისა და ვაშინგტონის მხრიდან ხშირად გაისმის მონტრიოს 1936 წლის ხელშეკრულების შეცვლის თაობაზეც, რომელიც, შავი ზღვის ქვეყნებისგან განსხვავებით, არაშავი ზღვის ქვეყნებს შეზღუდვებს უწესებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ნატოს წევრი სამხედრო გემები შავ ზღვაში მხოლოდ 21 დღით შეიძლება იყვნენ და მათ საერთო ტონაჟი 30000 ტონას არ უნდა სცდებოდეს.

შეცვლიან თუ არა ხელშეკრულებას, ძნელი სავარაუდოა, ვინაიდან ნატოს წევრი თურქეთი წინააღმდეგია ამისა, მაგრამ ნატოს გაბედული ნაბიჯები შავ ზღვაში საქართველო-უკრაინის მონაწილეობით, უდავოდ საგანგაშოა – საერთო მშვიდობისთვის, უპირველესად, საქართველოს კეთილდღეობისთვის. საქართველოს ხელისუფლება უყოყმანოდ ასრულებს ბრიუსელის დაკვეთას, რომელიც ხშირ შემთხვევაში საკუთარ სურვილებს, საქართველო-უკრაინის დაჟინებულ თხოვნად ასაღებს.

შავი ზღვის „უსაფრთხოებასთან“ დაკავშირებით ნატოს წევრსა და შავი ზღვის ქვეყანას ბულგარეთს ბრიუსელისგან განსხვავებული მოსაზრება აქვს. ბულგარეთის ვიცე-პრემიერმა და თავდაცვის მინისტრმა კარაკაჩანოვმა განაცხადა: „სოფია არის ნატოს ლოიალური პარტნიორი, მაგრამ ქვეყანა აწარმოებს კომპრომისების ძებნის და არა ვითარების დაძაბვის პოლიტიკას. ის არ გეგმავს ნატოს სამხედრო-საზღვაო ბაზების განლაგებას თავის ტერიტორიაზე“.

შავ ზღვაში ნატოს ძალების აქტივიზაცია ჯდება იმ გეგმაში, რასაც „აგრესიული“ რუსეთის შეკავება ჰქვია. ჩვენთვის, ისე, როგორც უკრაინელებისთვის, ნატოს აღნიშნულ პროექტში ჩართვა მხოლოდ ნატოსთვის არის სასარგებლო და არა საქართველო-უკრაინისთვის. ორივემ კარგად ვიცით – რამდენად არის ნატო უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გარანტორი. თუ დასავლეთი ამ ორი ქვეყნიდან შეეცდება ანტირუსული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შეკვრას, მაშინ რუსეთი იძულებული იქნება, სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეს, საკუთარი საერთაშორისო და ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ანტირუსულ პროპაგანდას, რომელსაც თან ახლავს ნატოს სამხედრო მანქანის გაძლიერება, აქაოდა, რუსული გამოწვევის შესაკავებლად, მილიარდობით დოლარი ჯდება, რაც უდავოდ ხელს აძლევს სამხედრო-სამრეწველო ბიზნესს. ამასთანავე, ძაბავს საერთაშორისო ვითარებას და მსოფლიო მშვიდობას სასწორზე დებს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

პროტესტი კი, მაგრამ დაუნდობლობა?..

მრავალსახოვანი გაზაფხული გვაქვს პლანეტელებს, ბუნების ამა თუ იმ სივრცისთვის შეუფერებელი მოვლენებით: იქ სიცხეებია, სადაც ჯერ კიდევ სიცივე უნდა იყოს, სადაც მზიან და თბილ ამინდებს ველოდით, იქ ზამთრისეულმა სიცივეებმა დაისადგურა. სად წყალდიდობებია ადამიანის მსხვერპლით, სად — მიწისძვრა, მეწყერი და ყველაფერი ის, რასაც ურჩი ბუნების გაბრაზება ჰქვია. მრისხანებს ცა და დედამიწა, ბობოქრობს ზღვა და ოკეანე, ემუქრება ბუნება ჩვენს ცივილიზაციას. რას არ ცდილობენ მეცნიერ-ინტელექტუალები, რას არ იგონებენ გამომგონებლები, რათა შექმნან ადამიანის უკეთესი ცხოვრებისთვის უხიფათო და სასარგებლო სამყარო, მაგრამ მაინც ბოლო არ უჩანს ხიფათებს და ტრაგედიებს თუ ბუნების მოვლენებისგან, თუ თავად ადამიანის დაუდევრობით ან ტექნიკის „თამაშით“ გამოწვეული უბედურებებით.

ვინ მოთვლის ავიაკატასტროფებისა და საგზაო შემთხვევებით დაღუპულ ადამიანთა რიცხვს. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით ხშირ მოვლენად იქცა ხანძარი. ხანძარი ედება ყველაფერს, იწვის სახლები, ტყეები, მაგრამ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარს მოდებულმა ცეცხლმა, რომელმაც, ლამის, მთლიანად შთანთქა ეს მსოფლიო მნიშვნელობის და მსოფლიო ხალხების საყვარელი, ხელთუქმნელი, უძველესი ძეგლი, მთელი მსოფლიო შეაშფოთა! რას ნიშნავს ეს, SOS!!! — ხომ არა? ხომ არ აფრთხილებს ზეციერი კაცობრიობას, ხომ არ გვაძლევს ნიშანს? ჩვენ კი მაინც ვერ ვხვდებით და ჯიბრში ვუდგევართ ბუნებას, სასწაულებს ჩავდივართ, ვაშენებთ ხელოვნურ ზღვებს და მთებს, ლამის ცის თაღი გახიოს უმაღლესი მწვერვალებივით აღმართულმა შენობებმა, მაგრამ, ეს კიდევ რა არის იმასთან შედარებით, რასაც კაცის — კაცზე და ქალის ქალზე დაქორწინება ჰქვია.

არის თუ არა ეს ბუნების საწინააღმდეგოდ სვლა, გაუკუღმართებული ქცევა და სამწუხაროდ, ევროპისა და ამერიკის ზოგიერთ ქვეყანაში უკვე დაშვებულ-დაკანონებული მოვლენა?... ნიშნავს თუ არა ყოველივე ეს ადამიანის მოდგმის გადაშენების გზაზე შედგომას, უარის თქმას გენეტიკურ დედაზე და მამაზე, ბავშვის აღზრდის ჯანსაღ გარემოზე? მსგავსი ქორწინებების სანახაობა დღეისთვის შემაძრწუნებელია ბევრი ჩვენგანისთვის, მაგრამ როგორც გვწინასწარმეტყველებენ, ნუთუ ოდესმე შევეგუებით ამ მეტისმეტად დამთრგუნველ მოვლენას და ნუთუ ამას ადამიანის განვითარება ჰქვია? ასეთი კანონების შემოღება ნეტავ რას ნიშნავს? განა ეს ნიშნავს ადამიანზე და კაცობრიობაზე, მათ უფლებებზე ზრუნვას, ასე თავგამოდებით რომ იბრალებენ დემოკრატობანას თამაშით გართული ზოგიერთი არასამთავრობო ინსტიტუტები?

მე ქართველი ვარ და საქართველოს მდგომარეობა უფრო მაწუხებს სხვა ქვეყნების პრობლემებთან შედარებით, მაგრამ სავალალოდ, თუნდაც ერთ ქვეყანაში გაჩენილი ჭირი მთელ მსოფლიოზე თვალის დახამხამებაში ვრცელდება და რა ვქნათ, როდესაც საშველი არ ჩანს? ჭირი კი ერთგვაროვანი მაინც იყოს, ის მრავალნაირი და მრავალგვაროვანია, ყველა ერთად კი ადამიანის განადგურებას თუ არა, გადაგვარებას ხომ ნამდვილად უწყობს ხელს. ამ ჯერზე მინდა, ზრდილობასა და ეთიკაზე ვილაპარაკო ნებისმიერ განვითარებულ თუ ნაკლებად განვითარებულ საზოგადოებას რომ უნდა ამშვენებდეს... ამშვენებდეს კი არადა, ზრდილობა საზოგადოების განვითარების პირველი და სავალდებულო ნიშანია და იგი ცოდნასა და განათლებასთან არის მჭიდრო კავშირში. მიუხედავად იმისა, რომ იგი არის საზოგადოების გარეგნული კრიტერიუმი, მას დიდი შინაარსი აქვს და საზოგადოების განვითარების ერთ-ერთი საფუძველია.

ზრდილობა მოიცავს ზნეობას. უზნეო ადამიანი ვერ იქნება ზრდილობიანი და პირიქით. და მაინც ყველასთვის გასაგებად — ზრდილობა არის სხვა ადამიანის, მისი ღირსების პატივისცემა, მოფრთხილება, ადამიანი არ უნდა შეაწუხო, უნდა იყო მორიდებული. და აქვე — უნდა შეგეძლოს თანადგომა და დახმარება; „გაცემა და არა შური, ჩუქებისა არ მოწყენა, გავლენა და მოხმარებაო“ — ასე ჩამოაყალიბა ზრდილობისა და ზნეობის კოდექსი შოთა რუსთაველმა. ჩუქება ხომ უანგარობაა. ამ შემთხვევაში არის ადამიანი ზრდილობიანიც და ზნეობრივიც. ის, რაც ევალება ადამიანს, პიროვნებას, კიდევ უფრო მეტად ევალება ხელისუფლებას. ზრდილობა, ისევე როგორც ზნეობა, არის ადამიანთა ურთიერთობის დიდი ძალა. ასევეა იგი სახელმწიფოსთვისაც საზოგადოების წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულების საქმეში. კანონი ვერ იკანონებს, თუ იგი ზნეობრიობით არ არის გაჯერებული. სახელმწიფო (ხელისუფლება) თავისი საზოგადოების ზრდილობისა და ზნეობის მაგალითი უნდა იყოს. ახლა მივადგეთ ჩვენი ქვეყნის მმართველ ინსტანციებს, — უპირველეს ყოვლისა — პარლამენტს, როგორ სახეს გვიჩვენებს იგი.

სამწუხაროდ, დღეს ის ადამიანები, რომლებიც ავსებენ პარლამენტს, შორს არიან ზრდილობისგან, რადგანაც იქ ხშირად ქაოსი და ეშმაკი ისადგურებს. რაიმე საკითხის, კანონისა თუ კანონქვემდებარე აქტის გამოტანა ხშირად ყვირილისა და აურზაურის მიზეზი ხდება და მთავრდება ერთმანეთის შეურაცხყოფით, ზოგჯერ ხელჩართული ჩხუბითაც. აქ ვერ ნახავთ ვერც აზრიან საუბარს და პოლემიკას, ვერც შინაარსიან კრიტიკას... სად არის მოსმენის კულტურა, მოთმინება და აზრის გაზიარება. ის, რასაც ჩვენ — ხალხი ვხედავთ (ცისფერი სამყარო!), სამაგალითო ზრდილობისა რა მოგახსენოთ და სამაგალითო უზრდელობა კი ნამდვილად არის. ამ „მორალში“ მძლავრობს ოპოზიციური პარტია — ნაციონალები და მათი განშტოებები. უმრავლესობამ, რაც არ უნდა კარგი და ხალხისთვის სასარგებლო (რაც, მართალი რომ ვთქვათ, იშვიათობას წარმოადგენს, მაგრამ მაინც...) საკითხი წამოაყენოს, იგი ოპოზიციის აყალმაყალის მიზეზად და უზრდელობის სცენად იქცევა.მათ მიერ მოწყობილი სერიული აურზაურის შემდეგ ძნელი გასარკვევია, ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი, ვინ ზრუნავს ხალხზე და ვინ მტრობს მას.

მართალია, ხელისუფლება უმაღლესი ძალაუფლების მქონეა და მას არ უნდა მისცე საშუალება, დაუგეგმავად და ხალხთან შეთანხმების გარეშე გამოიყენოს იგი, მაგრამ ოპოზიციის მიერ გაწეულ წინააღმდეგობებში სულაც არ ჩანს კეთილი სურვილი — მიმართოს მთავრობის ძალა ხალხის უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად. ამ ბოლო დროს განუწყვეტელი დავა მიმდინარეობს უმაღლეს სასამართლოში ასარჩევ მოსამართლეთა კანდიდატებზე. რა თქმა უნდა, მოსამართლე უმაღლეს ორგანოში (და ზოგადად!) უნდა იყოს სუფთა, პატიოსანი, საზოგადოებაში ავტორიტეტმოპოვებული პიროვნება, მაგრამ განა პარლამენტს შეჰფერის უამრავი შეცდომებით გზაგამოვლილი პარტიის წევრები, რომლებმაც სრულიად ახლო წარსულში უამრავი მორალური და მატერიალური ზარალი მიაყენეს ქართველ ხალხს? სავლე ნამდვილად იქცა პავლედ! — ასეა ბიბლიაში, მაგრამ ცხოვრებამ სხვა მაგალითები გვიჩვენა და ხალხმაც არ დააყოვნა ასეთებზე თავისი აზრის გამოხატვა: „კუზიანს სამარე თუ გაასწორებსო!..“ ხალხს ესმის ეკა ბესელიასა და მისი თანამოაზრეების ლოგიკა, მაგრამ ვერ გაგვიგია ზოგიერთი ოპოზიციის წარმომადგენლებისა. ბრძნული ქართული ანდაზა სწორედ მათზეა ზედგამოჭრილი: „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო“ . ვიცით, ვინ ვინ არის და გაჩერდნენ მაინც!

საწყენია ის, რომ დიდი წინააღმდეგობა გაჩნდა „ქართულ ოცნებაში“, პარტია დატოვეს არც თუ უნიჭო და უჭკუო წევრებმა... რაც არ მოუტანს არც სახელსა და არც სარგებლობას მმართველ პარტიას. ისიც ვიცით ყველამ, რომ აბურდულ-დაბურდული სიტუაციიდან პოლიტიკასა და დიპლომატიაში სიჯიუტე არ არის საუკეთესო გამოსავალი...

სამწუხაროდ, კვლავ აყალმაყალში და დავიდარაბაში, ერთურთის ლანძღვასა და თავის მართლებაში დრო ფუჭად მიემართება, ის დრო, რომელსაც ოქროს ფასი აქვს ჩვენი ქვეყნისთვის. არადა, დაუმთავრებელ-დაუსრულებელია ასეთი უაზრო სცენები პარლამენტში და განა მარტო პარლამენტში... სად არის ზრდილობა და ზნეობა, ხომ უნდა ვიცოდეთ რა გვაკლია?!

ალბათ, გვაკლია გამოცდილება, კულტურა და განათლებან.

ახლა პანკისის ამბავს არ იკითხავთ — ჰესის მშენებლობას აპროტესტებს იქაური მოსახლეობა, არ გვინდა, არ მოუტანს პანკისს სიკეთესო. — ამბობენ. რამდენიმე მცირემოცულობის ჰესია ამ მიდამოებში და აშკარად უარესობისკენ არის შეცვლილი ჩვენი ხეობის ეკოლოგიაო. რას იზამ, არ უნდათ! მაგრამ მშენებლები და ისინი, ვინც ზოგადად ვითომ ქვეყნისა და კერძოდ, პანკისის მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის იღვწიან, ჰესი სიკეთე და წინსვლაა — დაჟინებით ამბობენ. ძნელია ახლა იმის გარჩევა, რა უკეთესია და რა უარესი, ის კი ფაქტია, რომ ხეობის აღშფოთებულ მცხოვრებთა და მშენებელთა უსაფრთხოების დასაცავად ოცდათხუთმეტი პოლიციელი შეიყვანა მთავრობამ ხეობაში. დაშოშმინებისა რა მოგახსენოთ და მოსახლეობა კი ძალიან გაღიზიანდა, ქვების სროლით „გაუმასპინძლდა“ პოლიციელთა ჯგუფს. ქვები კი არა და, მამაკაცებთან ერთად ქალებიც კარგა მოზრდილ ლოდებს ისროდნენ ფორმიანთა მისამართით.

სად იყო კანონმორჩილება ან მოქალაქეობრივი აზროვნება! ზოგიერთებისგან განსხვავებით, ვერ გავამართლებ ხეობელთა მოქმედებას, მიუხედავად იმისა, რომ პანკისის მოსახლეობის მოთხოვნა სამართლიანი მეჩვენება: ჯერ ხომ უნდა დაარწმუნო ადამიანი შენს მიერ სოფლის ბუნებაში ჩარევის სისწორეში და მერე კი, ბატონო, დაიწყე საქმე (უნდა ითქვას, რომ ამ დაწყებულ საქმეში თავად პანკისის მცხოვრებნიც იყვნენ ჩართულნი, მუშაობდნენ ჰესის მშენებლობაზე)! თუმცა, ეს ასე არ მოხდა და ატყდა, მაგრამ რა ატყდა, მასპინძლებმა ზოგიერთ პოლიციელს თავიც გაუხეთქეს, სისხლი ადინეს. ეს კი მეტისმეტიაო და ჰესის მშენებლობის დირექციის ღაღადის საფუძველზე — გვიშველეთო!.. მართლაც, ზემო ინსტანციების გადაწყვეტილებით, სპეცრაზმი მიავლინეს ... რამაც კიდევ უფრო დიდი ცეცხლი წაუკიდა აღშფოთებულთა მღელვარებას, მათ უკან როდი დაიხიეს სპეცრაზმელთა დანახვაზე, ეს ცეცხლი მანქანებს გადადეს (არადა, სხვა დროს რა არ გადაუტანიათ, ზოგჯერ მოთმინებით, ზოგჯერ ბრძნული აზროვნებით! აბა, როგორი სანახავი იქნებოდა ამ რამდენიმე წლის წინათ საძინებელ ტომრებში ჩახოცილი ტალიკ-ტალიკ ბიჭები! მაგრამ გადაიტანეს...). კოცონი ბრიალებდა ხეობაში. აი, რა მივიღეთ! — დატრიალდა ისეთი სურათი, მტრის წისქვილზე რომ მიუშვებს წყალს. დიახ, მტრის წისქვილი კარგად მუშაობს, ჩვენი კი — დაშრა! ამ მიმართებით ვიღაცა კარგად ახერხებს პანკისელების „დამოძღვრას“ და არა მხოლოდ პანკისელებისა, არამედ მთელი საქართველოს ხალხის...

და ეს „ვიღაც“ არ უნდა იყოს შორიდან მოსული, აქვეა და უხარია, როდესაც მისი „მუშაობა“ შედეგიანია, უხარია, რომ ხალხი ააჯანყა გლახა და უნიათო მთავრობის წინააღმდეგ, მთავრობა იქით იყოს და, სამშობლო?! სამშობლო ხომ ნამდვილად წინ ვერ წავა ასეთ აყალმაყალსა და ხელისუფლებაში მოსვლისთვის „თავგადადებულთა“ უზნეო ბრძოლაში...

არა, პროტესტი ამა თუ იმ საქმისა და მოქმედების წინააღმდეგ, გასაგებია, მაგრამ — დაუნდობლობა?! საიდან, რატომ ასეთი დაუნდობლობა?!

გულნარა სტურუა

თავი შეიკავეთ საეჭვო ადგილებში ხორცისა და კვერცხის შეძენისაგან!

სააღდგომო დღეებში იმატებს კვერცხის და ხორცპროდუქტების მოხმარება. გაზრდილი მოთხოვნის ფონზე, ხშირად ხორცის და კვერცხის რეალიზება ხდება არაკეთილსაიმედო გარემოში, სადაც არ არის დაცული შენახვის პირობები და უცნობია ხორცის წარმომავლობა და საქონლის დაკვლის ადგილი.

სურსათის ეროვნული სააგენტო და გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) მოსახლეობას მოუწოდებენ, თავი შეიკავონ ხორცის, ხორცპროდუქტებისა და კვერცხის შეძენისაგან ისეთ ადგილებში, სადაც არ არის დაცული ჰიგიენური ნორმები, პროდუქტების შენახვის პირობები.

ხორცის შეძენისას მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს რიგ გარემოებებს: ხორცი უნდა ინახებოდეს სუფთა, დახურულ მაცივარში, შესაბამისი ტემპერატურული რეჟიმის დაცვით, რომელიც განსაზღვრულია 2-დან 6-გრადუსამდე, ხოლო შენახვის ვადაა 48 საათი.

◎ სუმო

10 მედლით დავასრულეთ

ესტონეთის **დედაქალაქ ტალინში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის დასკვნითი დღე, რომელიც უფროსი ასაკის სუმოტორებს (ე.წ. სენიორებს) დაეთმო, ყველაზე მწირშედეგიანი გამოდგა ქართველთათვის. ჩვენმა ბიჭებმა მხოლოდ 3 ბრინჯაოს მედლის მოპოვება შეძლეს, აქედან 1 – გუნდურში და 2 – პირად შეჯიბრებაში.**

ინდივიდუალურში კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასვლა ორივე შემთხვევაში ლაშა ჯელაძემ მოახერხა – პირველად მძიმე წონაში (+115 კგ), მეორედ კი – აბსოლუტურში.

მძიმე წონის „ბრინჯაოს“ ფინალში ქართული დაპირისპირება შედგა – ჯელაძემ ჩვენი ნაკრების კაპიტან ზურა აქუბარდიას სუკუინაგეს ილეთით სძლია.

რაც შეეხება აბსოლუტურის ფინალს მესამე ადგილისთვის, აქ ლაშამ პოლონელი მატეუშ ლინკა ვატაშიკომის ილეთით დაამარცხა.

როგორც იცით, მან წინა დღეს 23-წლამდელთა შორის ოქროსა და ბრინჯაოს თითო მედალიც მოიპოვა და საერთო ჯამში ტალინის ევროპირველობაზე 1 ოქროსა და 3 ბრინჯაოს ჯილდო დაუგროვდა.

სამწუხაროდ, პირად პაექრობებში სხვა ჩვენებურებს ხელი მოეცარათ. აქუბარდია-ჯელაძის გარდა, ესტონურ დოჰიოზე ვიხილეთ ლაშა მეშვილდიშვილი (-115 კგ), გელა ბურჯანაძე (-100 კგ), გიორგი გოგობერიშვილი (-100 კგ) და გიორგი გახოკიძე (-70 კგ), თუმცა, მედალთან მიახლოების შანსი არცერთ მათგანს არ მიეცა.

რაც შეეხება გუნდურ დაპირისპირებებს, აქ ჯელაძე-აქუბარდია-მეშვილდიშვილის ტრიომ უნგრეთის ნაკრების ძლევით – 3:0 პირველი წრე უპრობლემოდ გაიარა.

ნახევარფინალში, 23-წლამდელთა დარად, ისევ უკრაინელებს გადავეყარეთ და აქაც იგივე სცენარი განმეორდა – 1:1-ზე კვლავ ვაუა დაიური დაგვიპირისპირდა და უკრაინის სახელით მებრძოლმა ჩვენებურმა ბოლო ბრძოლაში ამჯერად ლაშა მეშვილდიშვილს აგემა გადამწყვეტი მარცხი (თანაც იაგურანაგეს საკმაოდ ეფექტური ილეთით).

„ბრინჯაოსთვის“ გამართულ დაპირისპირებაში ჩვენმა ბიჭებმა პოლონელებს სძლიეს – 2:1 და მესამე პრიზიორები გახდნენ.

სულ ჩვენი დელეგაციის ანგარიშზე 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 6 ბრინჯაოს მედალია.

გეჟან დოლიძე

◎ ევროლიგა

პირველი მერცხალი

გაირკვა საკალათბურთო ევროლიგის ოთხთა ფინალის პირველი მონაწილის ვინაობა. ესაა მადრიდის „რეალი“, რომელიც ზედიზედ მეოთხედ ითამაშებს ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირის უძლიერესთა კვარტეტში.

მოგეხსენებათ, პაბლო ლასოს გაწვრთნილი „სამეფო კლუბი“ ძველ სამყაროში სარეკორდო მიღწევის მფლობელია – უკვე თერთმეტჯერ აქვს მოპოვებული მთავარი კონტინენტური ჯილდო და წლეულსაც საფუძვლიანად ითვლება გათამაშების ერთ-ერთ ფავორიტად.

პლეი-ოფის სასტარტო ეტაპზე ესპანურმა გრანდმა მეოთხედფინალური სერია მშრალი ანგარიშით მოუგო ბერძნულ „პანათინაიკოსს“ – 3:0 (ბოლო მატჩი სტუმრად – 89:82), შემდეგ რაუნდში კი „ბასკონიასა“ და ცსკა-ს შორის გამარჯვებულს შეხვდება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ დასკვნით ბატალიებს 17-19 მაისს თორნიკე შენგელიას ამჟამინდელი გუნდის სარბიელი უმასპინძლებს, ადვილი შესაძლებელია, რომ ვიტორიაში პირენეელთა საშინაო მინი-ტურნირი გაიმართოს, მით უმეტეს, როცა რჩეულთა შორის მოხვედრის შანსს „ბარსელონაც“ ინარჩუნებს.

დავძენთ, რომ „უალგირისისა“ და „ფენერბახჩეს“ წყვილში საკუთარი მოედნის უპირატესობა ლიტვაში წარმატებით 66:57 – თურქებმა დაიბრუნეს (2:1).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ შოკი

ასეც ხდება

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა – მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი და საერთაშორისო კლასიფიკაციის ლიდერი რონი ო'სალივანი სნუკერში წლევანდელ მუნდიალს სტარტზევე გამოეთიშა – 8:10.

კიდევ უფრო სენსაციურად ჟღერს ლეგენდარული ბრიტანელის მძლეველის სტატუსი – 23 წლის ჯეიმს კეიჰილი ფორუმის ისტორიაში პირველია, ვინც მოყვარულის რანგში თამაშობს!

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

საპატიო მისიით

საქართველოში **ორდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რაგბი ევროპის აღმასრულებელი დირექტორი ფლორენ მარტი . ის საქართველოს რაგბის კავშირის მუშაობას გაეცნო და სრკ-ის თავკაც გოჩა სვანიძესთან მსოფლიო რაგბიში მიმდინარე ცვლილებები განიხილა.**

საუბარი შეეხო მსოფლიო ლიგის შექმნის იდეას და სტუმარმა ბრძანა, რომ რაგბი ევროპა მაქსიმალურად დაიცავს მისი წევრი კავშირების პოზიციებს.

თავის მხრივ, სვანიძემ აღნიშნა, რომ რაგბი ევროპის აღმასრულებელი დირექტორის პოსტზე ფლორენ მარტის დანიშვნა ამ კუთხით წინგადადგმული ნაბიჯია და ეს ორგანიზაცია კიდევ უფრო ქმედითუნარიანი გახდება.ჩვენი კავშირის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მისი და მარტის ხედვები პრაქტიკულად ყველა ასპექტში ემთხვევა ერთმანეთს.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კოლეგები

ოდესაც ჩვენია

კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა საქართველოს ჟურნალისტთა ნაკრებმა, რომელიც ოდესაში გამართული საერთაშორისო საფეხბურთო მედიატურნირიდან გამარჯვებული დაგვიბრუნდა.

ჩვენმა თანამემამულე კოლეგებმა უკრაინის საპორტო ქალაქში ხუთივე მეტოქე დაამარცხეს: მოლდოვა, აზერბაიჯანი და ლატვია – 1:0 თითოეული, გერმანია – 3:1 და მასპინძლები – 2:1.

ჩემპიონთა შემადგენლობა: გეგი კიკაბიძე, კოტე მიგინეიშვილი, მერაბ სიმონიშვილი, მამუკა კვარაცხელია, ოთარ ფედიჩკინი, მირიან დედანაშვილი, დავით ფრანგიშვილი, ირაკლი დევდარიანი, ნიკა კბილაძე და გიორგი თოთლაძე.

შეგახსენებთ, რომ ეს გუნდი სსჟა-ს პრეზიდენტ მიხეილ აბაიშვილისა და უეფას მედია-ოფიცრის, სფფ-ს სტადიონების განყოფილების უფროს მამუკა კვარაცხელიას ინიციატივით შეიკრიბა და მას უკრაინაში საქართველოს კონსული თორნიკე ბერეკაშვილი ოჯახთან ერთად ქომაგობდა.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

სერედოვა ჩაპუტკუნდა

ვეტერან იტალიელ გოლკიპერ ჯანლუიჯი ბუფონის ყოფილი ცოლი, ჩეხი ექს-მოდელი ალიონა სერედოვა ყოველთვის სიპუტკუნისკენ მიდრეკილი ქალბატონი იყო და ზედმეტ კილოგრამებს იგი მთელი ცხოვრების მანძილზე ვარჯიშითა და დიეტებით თავდაუზოგავად ებრძოდა.



თუმცა, სამოდელო საქმიდან ოფიციალურად წასვლისა და ჯიჯი ბუფონთან დაშორების შემდეგ ალიონამ დიეტებით ტანჯული ცხოვრება უარყო, ხაშლამასა და ყაურმას მიეძალა და როგორც აპენინური ბულვარული მედია იუწყება, ახლა ლუარსაბის ცოლ დარეჯანივით ფერდებიც შეევსო და ღაბაბიც მოუმრგვალდა.

ალიონა სერედოვა თავისი ტანსრულობის შესახებ მხოლოდ იმას ამბობს, რომ ვინც საჭირო (იგულისხმება მისი ამჟამინდელი ქმარი, იტალიელი მსახიობი, ვინმე ალესანდრო ნასი), იმას ასეთიც ძალიან მოსწონს და პრეტენზიას არ გამოთქვამს. დანარჩენებმა კი უმჯობესია საკუთარ ქოლესტერინსა და შევსებულ ღიპს მიხედონ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ხმა ხალხისა!

ტურისტები ეძებენ სტალინის ძეგლს!

წავიკითხე გოგა აფციაურის წერილი „სტალინის მიმართ ინტერესი დღითი დღე იზრდება“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“, №78, 19 აპრილი 2019 წ., რამაც ჩემში დადებითი ემოცია გამოიწვია. სტატიაში აღნიშნულია, რომ სტალინის ძეგლის აღდგენა გორში ძველ ადგილზე ტურისტების რაოდენობას გაზრდის. სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ განა მარტო იმიტომ უნდა აღდგეს დიდი ბელადის, მსოფლიოს პატიოსან მშრომელთა: მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ქომაგის და ინტერესების დამცველის დიდი სტალინის ძეგლი რომ ტურისტებს მოიზიდავს? პირველ რიგში, იმიტომ უნდა აღდგეს მისი ძეგლი, რომ მან სამუდამოდ დაასამარა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, მოსპო თავად-აზნაურთა და მეფის მოხელეების მიერ მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ჩაგვრა, აამაღლა ქვეყანაში ცხოვრების დონე არა მარტო საქართველოში, არამედ 15 მოკავშირე რესპუბლიკაში და დაუბრუნა მშრომელ კაცს ღირსება და პატივი.

სტალინის მოღვაწეობისა და მართვის პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონი გახდა. რამდენი ვართ დღეს მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ? არჩევნების დროს 4,7 მლნ, ფაქტობრივად 3 მლნ. აი რატომ უნდა აღდგეს დიდი სტალინის ძეგლი მარტო გორში კი არა, მთელ საქართველოში. განა შეიძლება ძეგლების ისეთი ზიზღითა და უხეში მეთოდებით განადგურება, როგორც ამას საქართველოში სჩადიოდნენ? მ. სააკაშვილის, გ. ბოკერიას, ზ. ადეიშვილის, ახალაიებისა და ამ ბანდის ბევრი სხვა წევრის პასუხისმგებლობის საკითხი როცა დგება, პირველ რიგში ბრალდებად უნდა წავუყენოთ ძეგლების განადგურება. მაგალითად, უნდა ავიღოთ სწორი დამოკიდებულება ძეგლებისადმი საზღვარგარეთ. იტალიაში დგას მუსოლინის ძეგლი ფაშიზმის პირველი იდეოლოგის და შემქმნელის ჰიტლერის ძეგლთან ერთად, ბანდიტმა სააკაშვილმა კი ფაშიზმის მესაფლავის, დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დასრულების მთავარი მედროშის — იოსებ სტალინის ძეგლი გორში და ქუთაისში გამარჯვების მემორიალი ბარბაროსულად გაანადგურა. ისმის კითხვა: ასეთი დიდი დანაშაულისთვის მოეთხოვოს თუ არა პასუხი დამნაშავე ბანდას? მით უმეტეს, ქუთაისში ძეგლის აფეთქებას მოჰყვა მსხვერპლი — დაიღუპა დედა-შვილი და მძიმედ დაშავდა რამდენიმე ათეული კაცი.

სტალინმა რომ მსოფლიო იხსნა მიხაკისფერი ჭირისგან, ამას აღიარებდნენ მსოფლიოს ლიდერები, მათ შორის პირველები იყვნენ აშშ-ის პრეზიდენტი რუზველტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი.

სტალინის ღვაწლსა და დამსახურებაზე შეუძლებელია საუბარი ერთ საგაზეთო წერილში, მაგრამ არ შეიძლება ძალიან მოკლედ არ აღინიშნოს მისი როლი საქართველოს, მისი სამშობლოს აღორძინებაში. საქართველოს ეკონომიკა ნახტომისებურად განვითარდა იმ პერიოდში, როცა სტალინი მართავდა საბჭოთა კავშირს. გავყვეთ ქრონოლოგიას. II მსოფლიო ომი ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, რომ სტალინის ბრძანებით დაიძრა მატარებლების მთელი შემადგენლობები გერმანიიდან საქართველოსკენ. ეს შემადგენლობები ეზიდებოდნენ რუსთავსა და ქუთაისში მეტალურგიულ და საავტომობილო წარმოების აგრეგატებსა და ჩარხდანადგარებს. პირველი ქართული ფოლადი რუსთავში ჩამოისხა 1949 წ., ხოლო პირველი ქართული ატომობილი ჩამოიყვანა კონვეიერიდან ბ. ვაშაკიძემ 1951 წელს. 26.000 კაცი იყო დასაქმებული ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, ხოლო რუსთავში 46.999 კაცს აჭარბებდა დასაქმებულთა რიცხვი. რამდენი კაცია დღეს დასაქმებული საერთოდ წარმოებაში? პასუხი — ძალიან ცოტა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ქარხნები მ. სააკაშვილმა და მისმა ბანდამ მიჰყიდა ჩინელებს, ინდოელებს და ათას სხვა გადამთიელს, ვისაც ქართველი კაცის პრობლემები არ აინტერესებს.

საქართველოს ბევრი გულმხურვალე და პატრიოტი მამულიშვილი ჰყავდა, მაგრამ მათ შორის უნდა გამოვარჩიოთ დიდი დავით აღმაშენებელი და იოსებ სტალინი...

იმათი ხსოვნა და პატივისცემა ხალხის გულიდან არასოდეს ამოვა!

სიმონ პაპიძე,

აკადემიური დოქტორი,
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

„დედაშვილობამ ბევრს არ გითხოვ, შენს მიწას მიმაბარე!“...

ჯეირან კიკრიაშვილის ხსოვნას



მართლაც შეუცნობელია გზანნი უფლისანნი! ვის, როდის, რატომ და რისთვის — „სად აღუფხვრის სადით ძირსა“, მხოლოდ მან უწყის...

ჩვენი ჯეირანა აღარ არის — საქართველოდან შორს, ოსმალეთში აღესრულა სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი...

მამა ომში დაეღუპა, დედა 2 წლისამ დაკარგა — ობლობაში გაზრდილმა, რომ იტყვიან, ქიციც იცოდა და ქიცმაცურიც — „ნახალოვკელ“ ჯეირანას თავის დროზე არც „ქუჩის ბიჭობაში“ შეშლია რამე და ცხოვრებაშიც ყველაფერს თავად, სხვათა დაუხმარებლად მიაღწია...

საზოგადოება „სტალინის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, დიდი ბელადის უანგაროდ თაყვანისმცემელი, ყოველ 9 მაისსა და 21 დეკემბერს, როგორც წესი, გორში ჩადიოდა საკუთარი ხარჯით შეძენილი დროშებითა თუ ტრანსპარანტებით.

და კიდევ, გარდაცვლილი შვილის დაბადების დღეს, მის საფლავთან პანაშვიდს იხდიდა. ეს „წესები“ ობიექტურ მიზეზთა გამო მხოლოდ ერთხელ, შარშან დაარღვია, რასაც ძალიან განიცდიდა...

ცალკე საუბრის თემაა იქვე გორში სტალინისადმი მიძღვნილი ბანკეტები — ზღაპრულ სუფრასთან პრაქტიკულად არ დაჯდებოდა და როგორც რეჟისორი გადასაღებ მოედანზე, ისე დააბიჯებდა დარბაზში — რათა, თამადა იქნებოდა თუ მომღერალთა გუნდი, ემანდ სუფრის „სცენარიდან“ არ გადაეხვია — რამდენიმეჯერ მეც დავსწრებივარ ასეთ დაუვიწყარ „სპექტაკლებს“...

ჯეირან კიკრიაშვილზე საუბარი დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ ნეკროლოგის შეზღუდულ ფორმატში მეტი რა გითხრა „ბებერო ბიჭო“? — სანამ ვიქნები, ჩემთან იქნები, ჩემო უფროსო ძმობილო — მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის ის ქართული მიწა, რომელსაც ბრწყინვალე სამშაბათს მოგაყრით საფიცარი შვილის გვერდით გაჭრილ სამარეში. იმ ქართულ მიწას, რომელიც აგრერიგად გტკიოდა და გიყვარდა...

შენი დათო მხეიძე

P.S. სიკვდილის წინ მჯერა, იმასაც გაიფიქრებდი, თუ უშენოდ რა ბედი ეწევა სტალინის სახელთან დაკავშირებულ, შენს მიერ წლების მანძილზე მოპოვებულ შენსავე სახლში გამოფენილ არტიფაქტებს, ექსპონატებს, რომელთაც ნებისმიერი მუზეუმი ინატრებდა. როგორც შენსავით სტალინელს, ეგ მეც მაინტერესებს, ჩემო ჯეირან...

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ია გაბაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ია გაბაიძე (პ/ნ 61001049587), ბათუმი, რურუას ქ. №2, ბინა 23.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №72 (საკადასტრო კოდი: 20.42.07.026https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 45815.45 ლარი;

3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2019 წლის 25 აპრილი, 14:00 საათი.

4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2019 წლის 13 მაისი, 14:00 საათი.

5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP59821219;

აუქციონის ნომერი: 71271

ლოტის ნომერი: 598212

6. **მოვალე:** ია გაბაიძე (პ/ნ 61001049587), ბათუმი, რურუას ქ. №2, ბინა 23;

ენდი მახარაძე (პ/ნ 01001080699), თბილისი, ქერჩის ქ. №22, ბინა 617;

შპს „ქობპეტროლი“ (ს/ნ 446970065), ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქ. №72;

შპს „დითაილ-იონსე“ (ს/ნ 400218830), თბილისი, ქერჩის ქ. №22, ბინა 617.

7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

8. **აუქციონის პირობები:**

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;

• მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP59821219; ლოტის ნომერი: 598212).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2019 წლის 13 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მწუხარებას გამოთქვამენ აფხაზეთის საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენლის, ათეული წლების განმავლობაში სოხუმის ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის, საქართველოსა და, მათ შორის, აფხაზეთის დამსახურებული ინჟინრის, ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენის კავალრის, სოხუმის საქალაქო საბჭოს არაერთი მოწვევის დეპუტატის

გივი კოხრეიძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ორ ნიგერიელს ჯგუფური გაუპატიურებისთვის 10-წლიანი პატიმრობა მიესაჯა

პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გაუპატიურებისთვის ბრალდებულებს 10-10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

„თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ჯგუფურად ჩადენილი გაუპატიურებისთვის ბრალდებულები, ნიგერიის მოქალაქეები ჯ.ე. და უ.გ. დამნაშავედ ცნო. სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2018 წლის 3 მაისს ნიგერიის მოქალაქე ჯ.ე.-მ ქ.თბილისში ინდოეთის მოქალაქე ს.ს. მოტყუებით მიიყვანა მეგობრის — ასევე ნიგერიის მოქალაქის უ.გ-ს საცხოვრებელ ბინაში, სადაც ორივე პირმა ძალადობითა და ჯანმრთელობის დაზიანების მუქარით დაზარალებული გააუპატიურეს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დათო დათოშვილი, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე და თამაზ გოგინაშვილი ღრმა პატივისცემითა და სიყვარულით ულოცავენ დაბადების 80 წლის საიუბილეო თარიღს (27 აპრილს) ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელსა და თანათავმჯდომარეს, საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელს, საკავშირო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების „თბილისის ელექტროძრავის“ ყოფილ გენერალურ დირექტორს, ძმობისა და მეგობრობის უბადლო ოსტატს, ნამდვილ თბილისელსა და ჭეშმარიტ მამულიშვილს, უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

გაიოზ გალდავაძეს.

რატომ მოიხსენიებს ანდორის ტელეკომი ოკუპირებულ აფხაზეთს ქვეყნად?!

თბილისი **არკვევს, რატომ მოიხსენიებს ანდორის ტელეკომი ოკუპირებულ აფხაზეთს ქვეყნად.**

ამის შესახებ „აქცენტს“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განუცხადეს.

„საქართველოს საელჩო ესპანეთში (აკრედიტებულია ანდორის სამთავროში, ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკასა და მაროკოს სამეფოში) დიპლომატიური არხების საშუალებით დაუკავშირდა ანდორას მხარეს და მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნულ საკითხზე.

ანდორას ხელისუფლება მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და არაღიარების პოლიტიკას, რაც არაერთხელ გამოიხატა მათ განცხადებებსა და კონკრეტულ ნაბიჯებში“, — აცხადებენ საგარეო უწყებაში.

ცნობისთვის: ანდორის ტელეკომის საიტზე, როუმინგის ფასების განყოფილებაში არსებული ქვეყნების ჩამონათვალში ოკუპირებული აფხაზეთიც ფიგურირებს.

შავი ზღვის აკვატორიაში შემოსულ ამერიკულ ხომალდს ორი რუსული სამხედრო გემი აედევნა

საქართველოში **ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ადასტურებს, რომ შავი ზღვის აკვატორიაში შესულ ამერიკულ ხომალდ „Ross“-ს ორი რუსული სამხედრო გემი აედევნა. როს უილსონის თქმით, რუსეთისთვის დამახასიათებელია, რომ თვალყური ადევნოს ამერიკის მხრიდან მსგავს აქტივობებს.**

ცნობისთვის: ბათუმის პორტში აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდი USS Ross 21 აპრილს შემოვიდა.

კიმ ჩენ ინი რუსეთში საკუთარი მატარებლით ჩავიდა

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ინი რუსეთში პირველად ჩავიდა, მისი დაჯავშნილი მატარებელი ვლადივოსტოკში შევიდა, სადაც ხუთშაბათს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან მოლაპარაკებებს გამართავს.

მატარებლით, რომლითაც კიმ ჩენ ინი მგზავრობდა, რუსეთში სამჯერ არის ნამყოფი მისი მამა კიმ ჩენ ირი. სასაზღვრო რკინიგზის სადგურ ჰასანში მატარებელს, რომელიც რუსული ლოკომოტივისა და ვაგონისგან შედგებოდა, რუსული დელეგაცია დახვდა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ შორეული აღმოსავლეთის განვითარების მინისტრი ალექსანდრ კოზლოვი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ოგორ მორგულოვი და პრიმორსკის ოლქის გუბერნატორი ოლეგ კოჟემიაკო. რუსული მედიის ცნობით, სამიტზე განხილვის მთავარი თემები მხარეებს შორის ურთიერთობა და კორეის ნახევარკუნძულზე არსებული ბირთვული საკითხის დარეგულირება იქნება.

ლევან ჯიბღაშვილი გაათავისუფლეს

ორდღიანი **პატიმრობის შემდეგ მსახიობი და ბიზნესმენი ლევან ჯიბღაშვილი გირაოთი გაათავისუფლეს. ლევან ჯიბღაშვილი უარყოფს იმ ფაქტს, რომ მის გათავისუფლებაში შს მინისტრის მოადგილე კახა საბანაძე იყო ჩარეული. ამის შესახებ საუბრები მას შემდეგ დაიწყო, რაც სოციალურ ქსელში ჯიბღაშვილის და საბანაძის ფოტო გავრცელდა. ასევე მანამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ ლევან ჯიბღაშვილი დაკავებისას კახასთან დაკავშირებას ითხოვდა, თავდაპირველად მედიაში გავრცელდა ვარაუდი, რომ ის დედაქალაქის მერს კახა კალაძეს ახსნებდა. ჯიბღაშვილის თქმით, ის ადვოკატ კახა ასლანიშვილთან დაკავშირებას ოთხოვდა:**

„ნახევარ საქართველოსთან მაქვს გადაღებული ფოტო, მათ შორის ყოფილ მინისტრებთან, ყოფილ პრემიერებთან პირადი ურთიერთობით. კონკრეტულ შემთხვევაში განსაკუთრებით არც ვისარგებლებდი და არც მისარგებლია“ — განაცხადა ჯიბღაშვილმა.

კითხვაზე, რატომ ჰქონდა მას ნარკოტიკი მანქანაში, მსახიობმა განაცხადა, რომ გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე დეტალებს არ აკონკრეტებს.

ექსპერტიზით დადგინდა, რომ მსახიობისა და ბიზნესმენის ჩანთაში 0,5659გ. კოკაინი და 0,1921გ. ექსტაზი (MDMA) ჰქონდა. შსს ცნობით გამოსაკვლევი დარჩა მცირე ოდენობით მარიხუანა, რომლის ექსპერტიზის პასუხს სამართალდამცველები ელოდებიან.

უწყების ინფორმაციით, განსაკუთრებით დიდი ოდენობა ნარკოტიკული საშუალება და ფსიქოტროპული ნივთიერება არ გამოვლინდა.

ესპანეთი რუსეთს ტარიელ ონიანის გადაცემას სთხოვს

პროკურატურამ ე.წ. კანონიერი ქურდის გადაცემის მოთხოვნით რუსეთს ოფიციალური მიმართვა გაუგზავნა.

გამოძიება მას უკანონო გზით მოპოვებული კაპიტალის ესპანეთის ტერიტორიაზე გათეთრებას ედავება. 38-გვერდიან დოკუმენტში წერია, რომ ონიანი კრიმინალურ საქმიანობას ესპანეთის ტერიტორიაზე 10 წლის განმავლობაში ეწეოდა.ტარიელ ონიანს 8-წლიანი პატიმრობა ემუქრება. პროკურატურა მისთვის 50 მილიონი ევროს ოდენობით ჯარიმის დაწესებასაც მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6981; ევრო - 3.0359;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5094;
100 რუბლი - 4.2361; თურქული ლირა - 0.4624;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5870;
1000 სომხური დრამი - 5.5977.

ამინდი 25 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+22
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+17
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+3		+22
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+19
თბილისი:	ღამე	+6,	დღე	+20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge